გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N23 (9203) | 20 აგვისტო. 2016 წელი | ფასი 50 თეთრი

300 ვაკანსიურ ადგილზე 506 კონკურსანტია

ეკონომიამ 78 ათასი ლარი შეადგინა

2

“არ აწყენდა სამსახურს მეტი კოორდინირება”

3

შპს “ინდიკო” _ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და ხარისხიანად

“ვურჩევ სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებს”... 4

ვცდილობთ, ძველებური სახე შევუნარჩუნოთ

ჩვენი წილი “ვეფხისტყაოსანი”

მელაურში დამეძინა, გავიღვიძე ხიბლარში!

4

7

ორი ქართველი კვარცხლბეკზე

ვინ ქმნის მედიის დღის წესრიგს

წაიკითხეთ ძალიან ყურადღებით!

5

300 ვაკანტურ ადგილზე 506 კონკურსანტია

17 ივნისს დასრულდა საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია. ამის შემდეგ 55.54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიამ დაიწყო კონკურსანტთა მონაცემების გადამოწმება.

ცნობისათვის, 50 უბანზე მუშაობის სურვილი 506-მა მოქალაქემ გამოთქვა. შეგახსენებთ, რომ ცალკეულ უბანზე 6 ვაკანტური ადგილია. თითოეულში დარეგისტრირებულ კონკურსანტთა შორის ღირსეული აირჩევა.

230/2016 განკარგულების საფუძველზე 24 აგვისტოსთვის უბნის კომისიის წევრები შერჩეული უნდა იქნენ.

ნანა იმნაძე, 55.54-ე სამტრედიის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: "24 აგვისტოდან დაიწყება და 29 აგვისტოს დასრულდება პარტიების მიერ თითოეულ საუბნო-საარჩევნო კომისიაში წევრების დანიშვნა. საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრთა დანიშვნის უფლება აქვთ იმ პარტიებს, რომლებმაც არჩევნებში დაწესებული ზღვარი გადალახეს და იქცნენ კვალიფიციურ სუბიექტებად.

დავუბრუნდები საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსის თემას. წელს საკმაოდ დიდი აქტივობა მივიღეთ. 300 ვაკანტურ ადგილზე, 16 აგვისტოს მდგომარეობით, 400-მდე კონკურსანტია დარეგისტრირებული. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს ყველგან, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტშიც, გაუჩნდათ ნდობა კონკურსების მიმართ".

საოლქოს მიერ არჩეულ 6 წევრს დაემატა პარტიების მიერ დანიშნული კომისიის 7 წევრი და 8 სექტემბერს უკვე ასეთი შემადგენლობით სამტრედიის მუნიციპალიტეტის 50-ვე უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა გაიმართება.

ნინო ნანიტაშვილი

"ეს ანყენდა სამსახურს მეტი ჯოჰდინირება"

ნინო ნანიტაშვილი

ადმინისტრაციულ ერთეულებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის კოორდინაციის განყოფილების უფროსის პოზიცია ვაკანტური აღარ არის. 9 აგვისტოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ვალერიანე ფოცხვერიას N37/926 ბრძანების საფუძველზე აღნიშნული თანამდებობა გიორგი ბოჭორიშვილმა დაიკავა.

შეგახსენებთ, რომ ადმინისტრაციულ ერთეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის კოორდინაციის განყოფილების შექმნის ინიციატივით მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაახლოებით 5 თვის წინ მიმართა ვალერიანე ფოცხვერიამ და თანხმობა მიიღო.

კადრის შერჩევას მთელი ეს პერიოდი დასჭირდა, რასაც მუნიციპალიტეტის გამგებელი იმით ხსნის, რომ განყოფილების უფროსის პოზიციაზე რამდენიმე კანდიდატი განიხილებოდა და საბოლოოდ მან გიორგი ბოჭორიშვილზე შეაჩერა არჩევანი.

გიორგი ბოჭორიშვილი სამტრედიელია. დაიბადა 1981 წლის 4 ივნისს, ქალაქ ქუთაისში, დაამთავრა მე-2 საშუალო სკოლა და 2004 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. 2004 წლიდან იურისტის თანამდებობაზე მუშაობდა სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში. 2006 წლიდან _ ფოთში საკონტროლო გამტარი "ფოთი-პორტის" უფროსი მესაზღვრე-კონტროლიორი იყო. 2007 წლიდან 2008 წლამდე "ყულევი _ პორტის" განყოფილების უფროსის მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

2009 წლიდან 2011 წლის ჩათვლით ბრუნდება "ფოთი-პორტის" განყოფილების უფროსის მოადგილედ.

გიორგი ბოჭორიშვილი 2008 წლის 8 აგვისტოს ომის მონაწილეა.

2012 წლის მაისიდან იგი აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში, "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" ბიუროს წევრი გახლდათ დაწყებული 2012 წლიდან დღემდე. ახალი განყოფილების შექმნა, გიორგი ბოჭორიშვილის აზრით, აუცილებლობას წარმოადგენდა: "ვთვლი, რომ აუცილებელი იყო ამ განყოფილების შექმნა, იმიტომ, რომ ძალიან დიდი სამსახურია. შედის ბევრი სტრუქტურული ერთეული, მათ შორის, როგორც ქალაქად, ასევე სოფლად გამგებლის წარმომადგენლები ტერიტორიულ ერთეულებზე. მე ვთვლი, რომ არ აწყენდა სამსახურს მეტი კოორდინირება, ასევე მეტი ჩართულობა მოქალაქეების. მე, ჩემის მხრივ, მაქსიმუმს გავაკეთებ იმისათვის, რომ სამსახური მეტად კოორდინირებული იყოს. სწორი კომუნიკაციები მოხდეს მოქალაქეებსა და სხვადასხვა სამსახურებს შორის. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს".

გიორგი ბოჭორიშვილი ადმინისტრაციულ ერთეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის კოორდინაციის განყოფილების უფროსის მოვალეობას შეასრულებს მანამდე, ვიდრე ამ პოზიციაზე კონკურსი გამოცხადდება.

ეკონომიამ 78 ათასი ლარი შეადგინა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ამ დღეებში ხელშეკრულება გააფორმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებთან: "გია და კომპანია", "tg union", "ლაშა" და "მვმ".

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 20 ივლისს გამოცხადებულ ტენდერებში სამუშაოების გამოცხადების უფლება სწორედ ამ 4-მა კომპანიამ მოიპოვა. კონკრეტულად: შპს "tg union" _ გომისა და საჯავახოს თემებში შენობების სარემონტო სამუშაოებს შეასრულებს, სახელშეკრულებო ღირებულებით 25 647 ლარი და 35 თეთრი.

შპს "გია და კომპანია" _ ეწრის, მელაურის, ნაბაკევისა და

ღანირის თემებში შენობების სარემონტო სამუშაოებს უზრუნველყოფს _ სახელშეკრულებო თანხა 23 053 ლარი და 66 თეთრი.

შპს "ლაშა" _ დაბა კულაშში ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოებს შეასრულებს, სახელშეკრულებო თანხა 30 197 ლარი და 56 თეთრი.

შპს "გია და კომპანია" _ სოფლებში მოსაცდელების მოწყობის სამუშაოებს უზრუნველყოფს, სახელშეკრულებო თანხა 22 441 ლარსა და 24 თეთრს შეადგენს.

შპს "გია და კომპანია" _ გამოღმა ზონის სოფლებში არხისა და ბოგირის მოწყობის სამუშაოებს, სახელშეკრულებო ღირებულება 25 365 ლარი და 28 თეთრი.

შპს "გია და კომპანია"_ გაღმა ზონის სოფლებში არხისა და ბოგირის მოწყობის სამუშაოებს, ღირებულება 16 183 ლარი და 70 თეთრია.

შპს "მვმ" _ სოფელი დიდი ჯიხაიშის, იანეთისა და ბაშის თემების ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოებს უზრუნველყოფს, სახელშეკრულებო თანხა 34 152 ლარი.

ტენდერში გამოცხადებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენდა 218 671 ლარს. ხელშეკრულებები გაფორმდა 140 671 ლარზე, ანუ ეკონომიამ 78 000 ლარი შეადგინა.

ირაკლი სულავა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსი: " ამ სამუშაოებით დასრულდება წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის ათვისება, რაც სამტრედიის მუნიციპალიტეტის 14-ვე სოფელსა და ერთ დაბას მოიცავს. აღნიშნული სამუშაოებით სოფლებში მოწესრიგდება სანიაღვრე არხები და ბოგირები, შიდა გზები, მოეწყობა მოსაცდელები, იქ არსებულ შენობებს ჩაუტარდება რემონტი, შემოიღობება საძოვრები და სასაფლაოები, ასევე გარემონტდება საბავშვო ბაღების შენობები, მოწესრიგდება სასმელი წყლის მაგისტრალები. მოეწყობა ახალი მინი სტადიონები და სკვერები, გარემონტდება ძველი სკვერები და სტადიონები.

ასე რომ, წელს სოფლის მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი პრიორიტეტული პრობლემები მოგვარებულია".

ნინო ნანიტაშვილი

საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების პერიოდში "სამტრედიის მაცნე" იხელმძღვანელებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლისა და 2015 წლის 15 აგვისტოს საქართველოს ეროვნული კომისიის დადგენილების შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 2 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი. მისი ღირებულება შეადგენს 200 ლარს.

მანანა სირბილაძე: ბუნებით დემოკრატი ვარ

ლევან გაბეჩავა

საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი მანანა სირბილაძე.

იგი საზოგადოებისთვის გაცილებით ადრე იყო ცნობილი, ვიდრე საკრებულოს წევრი გახდებოდა და საერთაშორისო ორგანიზაციები პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის აუცილებლობაზე განაცხადს გაკეთებდნენ.

წარმატებული ადვოკატი საკრებულოშიც წარმატებულია, კომისიის თავმჯდომარეთაგან კი, ერთადერთი ქალბატონია.

დაუვიწყარია მისთვის საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტობის წლები, ლექციებს ბატონები ლევან ალექსიძე, გივი ინწკირველი, ვალერიან მეტრეველი, რომან შენგელია მიკითხავდნენო, სიამოვნებით აღნიშნა.

ვიდრე საკრებულოს წევრი გახდებოდა, თითქმის 20 წელი პრაქტიკოსი ადვოკატი იყო.

-იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრები არიან ბატონები: შალვა არზუმანიანი, პაატა კოხრეიძე, კოტე ნაცვლიშვილი, ხვიჩა ფანცულაია და დავით ნიკოლეიშვილი. კომისია საჭიროების შემთხვევაში იკრიბება, ძირითადად იურიდიული საკითხები იხილება.

კომისიის თავმჯდომარედ ჩემი მუშობის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა ვინმეს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტზე მოემართოს, რაც მისასალმებელია, თუმცა არის შემთხვევები, როცა მოქალაქეებს აქვთ არასწორი მოთხოვნები, ასეთ შემთხვევებში კი, როგორც საერთოდ, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ კანონის ფარგლებში, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ვმოქმედებთო, აღნიშნავს ქალბატონი მანანა.

ოჯახი ქვეყნის ბურჯი, პატარა სახელმწიფოა, მიყვარს ოჯახში ფუსფუსი.

წიგნების კითხვა შვებას მგვრის, მსიამოვნებს კლასიკური მუსიკა, ქართული ფოლკლორით კი, აღფრთოვანებული ვარო.

ჩვენმა რესპონდენტმა 1981 წლის 13 მაისის ქართველ ფეხბურთელთა გამარჯვება მაშინ გაიხსენა, როცა ფეხბურთისადმი მის გულშემატკივრობას გაუსვა ხაზი.

ზემოთ ვთქვით, რომ ვიდრე საკრებულოში მოხვდებოდა პრაქტიკოსი ადვოკატი იყო. ღვაწლი, ამაგი არ დაუკარგა, ახალბედა იურისტობისას თანადგომისათვის და სამადლობელი არ დაიშურა უფროსი კოლეგების ვაჟა მსხილაძისა და მარლენ ცაცუასადმი, ბევრი კარგი მახსოვს მათგანო.

საყვარელი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, სამაგიდო წიგნი დათა თუთაშხიაა, შვილსაც ამ წიგნისეული სიბრძნის გათვალისწინებას ვთხოვო, განაცხადა ჩვენთან საუბარში რესპონდენტმა.

მართლმადიდებელმა ქრისტიანმა აღნიშნა ის უდიდესი დამსახურება და განუზომელი ავტორიტეტი, რაც უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს მიუძღვის საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე.

შეკითხვაზე, როგორ აფასებს პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის საკითხს მანანა სირბილაძე გვპასუხობს: ისე როგორც ყველა სფეროში პოლიტიკაშიც ღირსეულნი უნდა იყვნენ წარმოდგენილნი, აქ წინასწარ შეთავაზებული კვოტა ჩემის აზრით არ გამოგვადგება, ასე, რომ იმდენი ქალი უნდა იყოს პოლიტიკაში, რამდენიც ღირსეულიცაა, სხვა საზომს მე ვერ ვხედავო.

სიტყვის თავისუფლება, ტერორისა და ზეწოლისაგან განთავისუფლებული ბიზნესი და ბიზნესმენები, მრავალათასიანი ინვესტიციები, საყოველთაო ჯანდაცვისა და C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამები. სახელმწიფო პროგრამით შესრულებული სამუშაოები... რესპონდენტს, როგორც სახელმწიფო მოხელესა და ხალხის რჩეულს კანონიერი სიამაყის უფლებას კანონიერადვე აძლევს, თუმცა ობიექტურობიდან გამომდინარე იმასაც ამბობს, რომ გასაკეთებელი კვლავ ბევრია, საამისოდ კი გარკვეული დრო და საყოველთაო მონდომებაა საჭირო.

მედიის მხრიდან პოზიტივზე მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს, ობიექტურობა მოითხოვს ამასო, მოკრძალებით გვითხრა რესპონდენტმა. არცთუ დიდი ხნის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ყოფის იმედითა და განუზომელი ოპტიმიზმით დასრულდა ჩვენი საუბარი ქალბატონთან, რომელიც დღე დღეზე ელის ერთადერთი ქალიშვილის სტუდენტობას.

წარმატებებს ვუსურვებთ.

შპს "ინდიკო" _ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და ხარისხიანად

რეგიონალური განვითარების ფონდის პროგრამით სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილი სამუშაოები მთლიანად დასრულებულია. ინფორმაციისთვის: დაიგო 19.7 კილომეტრი გზა. როგორც ცნობილია, რეგიონალური განვითარების ფონდის პროგრამით გათვალისწინებულ თანხას 209 000 ლარი დაემატა, რომლითაც ქუთაისი-ხონი-სამტრედიის ავტომაგისტრალზე, ე. წ. "მოსკვიჩების" მაღაზიიდან, მელაურის თემში პირველ მიწაბოგირაზე არსებულ საფეხბურთო მოედნამდე გზა დაიგება.

ზურაბ გოგია ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ასახელებს: "ეს კომპანია არის შპს "ინდიკო", დირექტორი მანანა გვასალია, რომელმაც მიმდინარე წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში განახორციელა რეგიონალური განვითარების ფონდის პროგრამით დაფინანსებული ობიექტების კეთილმოწყობა ასფალტბეტონის საფარით.

შპს "ინდიკომ" სამუშაოები შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და ხარისხიანად. იმედი გვაქვს, ახალ ობიექტსაც, რომელშიც გამარჯვებული კვლავ "ინდიკოა", ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და ხარისხიანად ჩაგვაბარებს".

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის ინფორმაციით, მართალია, შპს "ინდიკო" არის გამარჯვებული კომპანია, მან დამატებით კიდევ უნდა წარმოადგინოს სატენდერო პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, შპს "ინდიკოსთან" მუნიციპალიტეტის გამგეობა ხელშეკრულებებს, დაახლოებით, 10 დღის ვადაში გააფორმებს. რაც შეეხება ხანგრძლივობას, სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, 20 დღეს ითვალისწინებს.

ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება თავდაპირველად 209 000 ლარი იყო, ტენდერში "ინდიკომ" 20 პროცენტის ფასდაკლებით გაიმარჯვა.

ნინო ნანიტაშვილი

ნეგატიური ამბები სამტრედიიდან

თეა ბაბუნაშვილი

ბოლო ერთი კვირაა, სამტრედია საზოგადოების ყურადღების ცენტრში ნეგატიური ამბებით მოექცა.

სოფელ დაფნარში დემურ სტურუას თვითმკვლელობა მძიმე საუბრის თემაა. როგორც ცნობილია, 22 წლის ახალგაზრდა თვითმკვლელობის შემდეგ ნაპოვნ მის მიერ დაწერილ წერილში, თვითმკვლელობამდე მიყვანაში სამტრედიის შინაგან საქმეთა სამსახურის თანამშრომელს, გოდერძი თევზაძეს ადანაშაულებს. საქმის ირგვლივ გამოძიების დაწყების და სამართალდამცავის დასჯის მოთხოვნით ოჯახის წევრებმა მიცვალებული დაკრძალვის დღეს პოლიციის შენობის წინ დაასვენეს. პოლიციის განყოფილებაში აცხადებენ, რომ გოდერძი თევზაძემ თანამდებობა უკვე დატოვა. გარდა ამისა, სხვა კომენტარი არ კეთდება. ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება. რამდენიმე დღის წინ განსვენებულ დემურ სტურუას ოჯახის წევრები ადგილობრივ პროკურატურაში დაკითხვაზე იმყოფებოდნენ. როგორც აცხადებენ: "ქუთაისელმა პროკურორებმა დაგვკითხეს, საქმის გამოძიების იმედი გაგვიჩნდა." წინააღმდეგ შემთხვევაში კი ისინი ცხედრის ამოსვენებას და ადგილობრივი პოლიციის შენობის წინ მისვენებას გეგმავენ. როგორც ოჯახის წევრები აცხადებენ, თავის ჩამოხრჩობიდან ერთი დღეღამე მიცვალებული ხეზე ეკიდა. სუიციდის ფაქტი "7 აგვისტოს მოხდა, გარდაცვლილი კი 8 _ ში საღამოს ნახეს. გვიან ღამით გოდერძი თევზაძე ამოსულა გარდაცვლილის სახლში. დემური ხეზე ჩამომხრჩვალი ნახა კიდეც, ალბათ. მის მიერ დაწერილი წერილი ექსპერტიზაზე გავგზავნეთ. სამი დღე სჭირდებაო ამ ექსპერტიზას. მას მერე მეტიც გავიდა. რადგან პოლიციელია ეჭვმიტანილი ამიტომ არ აკავებენ მას და საქმეს სატანადო მსვლელობას არ აძლევენ. ეს სახელი და გვარი სხვა ადამიანის რომ ყოფილიყო, ამდენ ხანს არ დააკავებდნენ კი არა, გააციმბირებდნენ." _ ამბობს გარდაცვლილის დედა. იგი იმაზეც საუბრობს, რომ მათ ოჯახს საკუთარი საცხოვრებელი სახლი არ აქვს. ისინი ეკა აბაშიძის კუთვნილ საცხოვრებელ სახლს არიან შეკედლებული. იგი საქართველოს პარლამენტის თანამშრომელია. როგორც გარდაცვლილის დედა და ბიცოლა ადასტურებენ, სახლის პატრონმა მოაჭრევინა ხე, რომელზეც ჩამომხრჩვალი იპოვნეს, არადა პროკურატურამ გარდაცვლილის ოჯახი გაფრთხილა, რომ ტოტი არ უნდა მოეჭრათ. "მან გვირჩია, არ იჩივლოთ, კიდევ ორი ბიჭი გყავსო." _ დასძენს გარდაცლილის დედა. ოჯახმა დაასახელა კიდევ ერთი პოლიციელის ვინაობა, რომელიც სავარაუდოდ მანქანაში იჯდა, როცა გოდერძი თევზაძემ გვიან ღამით სახლი და ეზო ფარნით დაათვალიერა. იგი სერგო შენგელიაა.

"დემურიკო ჩემი გაზრდილი იყო, სანახევროდ ჩემს სახლში გაიზარდა კულაშში. 7 აგვისტოს დეიდამისისთვის მესიჯი მიუწერია. აფრთხილებდა, რომ მას ეს მესიჯი არ წაეშალა. დედას უთხარი სადაც ფულს ვინახავდი იქ რარაც დავტოვეო. წერილი სწორედ იმ ადგილზე ვნახეთ. იგი ამჯერად ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი. მივმართავ პრეზიდენტს, იქნებ დაგვეხმაროს ექსპერტიზის სწორად და დროულად წარმართვაში. ხუთ დღეს კიდევ ვაძლევთ გამოძიებას. შემდეგ მიცვალებულს ამოვთხრით და პოლიციის შენობის წინ დავასვენებთ, ან გოდერძი თევზაძეს დავუსვენებ სახლის წინ." _ აცხადებს ბიცოლა დარიკო ჯაში.

პროკურატურამ ეჭვმიტანილი პოლიციელი უკვე დაკითხა, თუმცა, ამ ეტაპზე მედიასთან არანაირი კომენტარი არ კეთდება.

დაკრძალვის დღეს სამტრედიაში არაერთი პოლიტიკოსი და ადამიანის უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია იმყოფებოდა. ისინი ფაქტის მეთვალყურეობას კვლავ განაგრძობენ და აცხადებენ, რომ ბოლო დროს გახშირდა სამართალდამცავების მხრიდან მოქალაქეებზე ძალადობა. ამგვარი დამოკიდებულების მაგალითად არა მხოლოდ ეს კონკრეტული შემთხვევა მოჰყავთ. კომენტარები აღნიშნულთან დაკავშირებით "ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის " წარმომადგენელმა გურამ იმნაძემ და "საიას" ქუთაისის ფილიალის ხელმძღვანელმა გურამ სანტურიანმა გააკეთეს. ისინი მსგავს ფაქტზე საუბრობენ, არა მხოლოდ იმერეთის მასშტაბით.

მიმდინარეობს გამოძიება, რომლის დეტალებსაც ფაქტის განვითარების კვალდაკვალ მოგაწვდით.

“ვურჩევ სოფლებში გამგებლის წარმომაღგენლებს”...

ნინო ნანიტაშვილი

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ტრადიციული თათბირის მონაწილეებს ახალი განყოფილების ახალი უფროსი ოფიციალურად წარუდგინა. გიორგი ბოჭორიშვილი ადმინისტრაციულ ერთეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის კოორდინაციის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა.

ვალერიანე ფოცხვერიამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოებისა და გამოცხადებულ ტენდერების შესახებ ინფორმაციები მოითხოვა.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ასევე დაინტერესდა ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს სამსახურის მიერ დაფინანსებული პროგრამებით. ლევან ახობაძის თქმით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობას დახმარებისთვის ძალიან ბევრი მოქალაქე აკითხავს. თითქმის ყველა გაჭირვებულია, თუმცა უმრავლესობის დაფინანსების საშუალებას ადგილობრივი ბიუჯეტი ამ ეტაპზე არ იძლევა: “ამ ეტაპზე შეჩერებული გვაქვს დახმარების გაცემა. უარს ვერ ვეტყვით უკიდურესად მძიმე კატეგორიას. თუ არ შევზღუდეთ დახმარების გაცემა, სხვანაირად ამ ფინანსების პირობებში წლის ბოლომდე ვერ მივალთ. შარშან მთელი წლის განმავლობაში 3200 განცხადება იყო შემოსული. წელს 7 თვის განმავლობაში 3350 განცხადებაა დაფიქსირებული. ამდენად, შეუძლებელია ის, რაც 2015 წელში 12 თვის მანძილზე დავაფინანსეთ, 2016-ში 7 თვის განმავლობაში დავაფინანსოთ”.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ინფორმაცია მოითხოვა აგვისტოს თვეში დაგეგმილი სპორტული ღონისძიებების შესახებ. სამსახურის უფროსის, ნატალია მანჯგალაძის თქმით: “სამტრედიის მუნიციპალიტეტი აქტიურად არის ჩართული და მხარს უჭერს სოფლებში დაგეგმილი სპორტული ღონისძიებების ჩატარებას. კერძოდ, 19 აგვისტოს გაიმართება სოფელ ჩხენიშში უბნებს შორის ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა ფეხბურთში. მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულთათვის შეძენილი აქვს სპეციალური პრიზები. გარდა ამისა, 18 აგვისტოდან 29 აგვისტოს ჩათვლით სოფელ გომში გაიმართება სევერიანე თევზაძის სახელობის ჩემპიონატი ფეხბურთში. აქაც აქტიური მხარდაჭერაა მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან, ხოლო 24-28 აგვისტოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით, საცხენოსნო კლუბ “სამტრედიის” ჩართულობით გაიმართება ტრადიციული ჩემპიონატი ცხენოსნობაში “სამტრედიის გრანპრი”, რომელშიც სხვადასხვა მუნიციპალიტეტების საცხენოსნო კლუბები მიიღებენ მონაწილეობას.

ტრადიციული თათბირის მეორე ნახევარი ტერიტორიული ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციების მოსმენას დაეთმო.

გამგებლის წარმომადგენლები ძირითადად კმაყოფილებას გამოთქვამდნენ მათ სამოქმედო უბნებზე შესრულებული სამუშაოების ტემპითა და ხარისხით. განსაკუთრებით გაზიფიცირებით არის სოფლის მოსახლეობა კმაყოფილი. რამდენიმე სოფელი, მათ შორის ეწრის თემი დამატებით ტექნიკას ითხოვს, რათა მიმდინარე პროექტები დროულად განხორციელდეს.

ლადო სოხანეიშვილს შენიშვნა ჰქონდა, რომ სოციალურად დაუცველთა ბაზაში დაბა კულაშიდან უკიდურესად გაჭირვებული ოჯახები ისევ ვერ მოხვდნენ.

უპატრონო ძაღლების პრობლემა აწუხებს საჯავახოს თემის მოსახლეობას და არა მარტო მათ. საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიაზე მაწანწალა ძაღლები, თურმე, დისკომფორტს ტურისტებსაც უქმნის. ტრადიციულ თათბირზე ადგილობრივ ხელისუფლებას ამ კუთხით დახმარება შავლეგ თარგამაძემ სთხოვა. დასაბუთებული პასუხი საჯავახოს თემში გამგებლის წარმომადგენელს გამგებლის პირველმა მოადგილემ, დავით ბახტაძემ გასცა: “ამ მიმართულებით ადგილობრივ ბიუჯეტში შარშან 5000 ლარამდე გვქონდა გამოყოფილი. მიმდინარე წელს გთვალისწინებული გვაქვს 15 000 ლარამდე, ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია ძირითადად ქალაქის ტერიტორიას ემსახურება მაწანწალა ძაღლების გაყვანის კუთხით.

3-ჯერ გავზარდეთ ხარჯები, შესაბამისად გაიზარდა მაწანწალა ძაღლების ქალაქიდან გაყვანის რაოდენობა. თუმცა, მაინც ჩანს, რომ არასაკმარისია. რადგან ასევე სავარაუდოდ, გაზრდილია მაწანწალა ძაღლების რაოდენობაც. მე ვურჩევ, სოფლებში ჩვენს წარმომადგენლებს, მუდმივი კოორდინაციის რეჟიმში იმუშაონ ადმინისტრაციულ სამსახურთან, ქალაქის ტერიტორიულ ერთეულთან. ასევე, სასურველია, განახორციელოს ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ დამატებითი ვიზიტები სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში განთავსებულ სოფლებში, მაწანწალა ძაღლების გაყვანის მიზნით”.

მელაურში დამეძინა, გავიღვიძე ხიბლარში!

ლევან გაბეჩავა

არავინ იფიქროს მძინარე გამიტაცა ვინმემ, ან ბახუსშეყრილმა ვერ მივაგენი სახლს.

დავიწყოთ ცოტა შორიდან.

1978 წელს, როცა ქალაქ სამტრედიის საზღვრები გაიზარდა, ქალაქის ტერიტორიას ყოფილი ნაფაღაურისა და ნაჩხეტაურის ტერიტორიები შეუერთდა.

ასევე ქალაქს მიაკუთვნეს სამტრედია-კულაშის მიმართულებით ყოფილი ლენინის, ამჟამად რესპუბლიკის ქუჩის ერთი მხარე. ე. ი. მარჯვენა მხარეს სოფელი მელაურია, ასფალტს გადავჭრით, წინ მცხოვრები მეზობლის ჭიშკარს შევაღებთ და უკვე ქალაქში ვართ.

მეორე უხერხულობა: მარჯვნივ მცხოვრებნი (პირით კულაშისკენ) მელაურის საექიმო ამბულატორიას, შესაბამისად, სოფელ მელაურს ვეკუთვნით, მარცხნივ მცხოვრებნი კი, ქალაქს და ქალაქის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას.

მესამე უხერხულობა: არჩევნებისას ერთ მხარეს მცხოვრებნი ხმას ქალაქში აძლევენ სასურველ პარტიას, თუ კანდიდატს, მეორენი კი კულაშში გახსნილ საარჩევნო უბანში!

მეოთხე უხერხულობა: რესპუბლიკის ქუჩის გაგრძელებაზე (კულაშისკენ) მცხოვრებთ ცნობებისთვის, საქმიანი ქალალდებისთვის მელაურში გვიწევს მისვლა, როცა ქალაქთან უფრო ახლოს ვართ.

მეხუთე უხერხულობა: სამტრედია, სოფელი მელაური, აი, ამ კონკრეტული მისამართის მფლობელი გახლდით ამ წერილის ავტორი, ისე კი, როგორც მოგახსენეთ, რესპუბლიკის ქუჩის გაგრძელებაზე, ქალაქის ყოფილი საავადმყოფოდან კილომეტრში ვბინადრობ ოჯახთან ერთად.

ამ დღეებში პირადობის დამადასტურებელი მოწმობა განვაახლე და... აღმოჩნდა, რომ საბუთზე საცხოვრებელი ადგილი არაა მითითებული. (გასაგებია, თანამედროვე კომუნიკაციების პირობებში წამის უსწრაფესად მოხდება ყველაფრის გაგება, მაგრამ არც იმით დაშავდებოდა რაიმე, თუ მისამართიც მოწმობაზევე იქნებოდა).

კიდევ ერთი უხერხულობა: ხიბლარის ქუჩა (შესაბამისი ნომრით) ყოფილა ამჯერად ჩვენი მისამართი!

ხომ არ იყო, თქვენის აზრით, საჭირო მოსახლეობისთვის შესაბამის ორგანოებს განემარტათ, აეხსნათ, ეთქვათ, რომ ამიერიდან მათი მისამართი შეცვლილია? ბევრს ხუმრობა ეგონა სამეზობლოში, ბევრიც ისევ ძველ მისამართს ამბობდა, როცა ვკითხე, თუ იცით ჩვენი მისამართი-თქო.

არავინ იფიქროს ან მელაურლობა, ან ხიბლარლობა, ან... გვეუხერხულებოდეს, მაგრამ როცა ვიღაც თუ ვიღაცეები, “ბრძნულ გადაწყვეტილებებს” იღებენ, ხალხს უნდა ჰკითხონ, თუ არ ჰკითხავენ, უთხრან მაინც უხერხულობაში რომ არ ჩავარდნენ.

მე კი, მე არც ვაჭარბებ და არც ვინმეს სიცილის მოსაგვრელად მივეცი წერილს ცოტა უცნაური სათაური.

მართლაც ასე იყო, მელაურში დავიძინე, გავიღვიძე ხიბლარში.

ბატონი სოსო ხაჟალიას ნათქვამი მომაგონდა: მალე ქუჩაში ხალხი ერთმანეთს რომ შევხვდებით, ასე მოვახედებთ უკან, ჰეი! ჰეის! დავუძახებთო, რატომ-თქო, როცა ვკითხე მითხრა: მამის სახელი ამოუღიათ ბიძიკო პირადობის მოწმობიდან, მერე სახელს ამოიღებენ, მერე გვარს და იმიტომო!

?!

ისევ ჩიგებზე და...

ლევან გაბეჩავა

მოუთმენლად ელის ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი პენსიის მიღების თარიღს.

აშკარაა, რომ სამუშაო უათკეცდებათ პენსიის დარიგების მომენტში შესაბამისი ბანკის თანამშრომლებს.

არა, პრეტენზია ნამდვილად არ გვაქვს იმ ბანკის მიმართ, რომელიც პენსიებს არიგებს, თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ არ გახლავართ პენსიონერი, მაგრამ “ლიბერთი ბანკის” წინ, მომდებარე ტერიტორიაზე თვის შუაგულში არნახული რიგები ნათელყოფს, რომ საქმე მაინცდამაინც კარგად არ არის პენსიონერთა მომსახურების მხრივ.

“წყეულ კომუნისტებს” “ველურ ყოფაში” სახლში მიჰქონდათ ხანდაზმულებისთვის პენსია.

მერე 6-8 ლარიანი პენსიები თვეების მანძილზე იყინებოდა.

სასწაულმოქმედი ხალხი მაინც ახერხებდა თავის შენახვას.

მართალია არაა სამყოფი, თუმცა დღეს ქვეყანაში პენსია გაცილებით მაღალი რომაა წინა წლებთან შედარებით ამის არ აღნიშვნა უმადურობა იქნებოდა.

მოარული ნათქვამისა არ იყოს, სოფელი (ქვეყანა) ერთ დღეს არ აშენებულა, ამდენად, ამჯერად ნამდვილად არ ვითხოვთ რაიმე იდეალურს, არც რომელიმე კონკრეტულ ბანკს, ბანკის თანამშრომლებს ვაკრიტიკებთ. უბრალოდ, აუცილებელია სისტემა დაიხვეწოს პენსიების დარიგებისა.

რად გვინდა, ვის უნდა თუნდაც 1000 ლარიანი პენსია, თუ მის ასაღებად რიგში პენსიონრებს სული ამოხდათ?

საცოდავი თუ არა უხერხული სანახავია ზაფხულის ხვატსა თუ ზამთრის სუსხში შესაბამისად, ოფლში გაწუწული და სიცივით აბუზული მოხუცების ხილვა.

მართალია, საკითხს პირდაპირი მნიშვნელობით არ უკავშირდება, მაგრამ ერთხელ კიდევ იმ უხერხულობაზეც შევაჩერებთ ყურადღებას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ სახლში სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებისთვის კვირაში რამდენიმე პურის დარიგებას რომ ეხება. მხედველობაში აქაც პურის მომლოდინე ბენეფიციარები გვყავს საათობით რომ უცდიან პურს.

ერთი სიტყვით, წუთით თავი პენსიისა და პურის რიგში მდგარ მოხუცებად წარმოიდგინეთ და...

მერე შეგვედავეთ.

წაიკითხეთ ძალიან ყურადღებით!

ეს წერილი მედიის განვითარების ფონდის, MDF-ის გებ-გვერდზეც შეგიძლიათ წაიკითხოთ. ჩვენს გაზეთში გადმობეჭდვის, და არა მხოლოდ ჟურნალისტებისთვის, საზოგადოებისთვის გაზიარების სურვილი, მისი შინაარსის აქტუალურობიდან გამომდინარე გაგვიჩნდა. კარგი იქნება, თუკი მას მკითხველიცა და ხელისუფლების წარმომადგენლებიც გულდასმით გაეცნობიან, რადგან განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ რამდენიმე საინტერესო მინიშნებას იძლევა მედიის როლზე მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

ვინ ქმნის მედიის დღის წესრიგს

2015 წელს ბრიტანეთში საპარლამენტო არჩევნების გაშუქებისას, BBC-ის ვიზუალური ჟურნალისტიკის ჯგუფმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების შედეგებზე დაყრდნობით, 2014 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემატური საკითხების ნუსხა შეადგინა. პარალელურად მათ პრიორიტეტულ საკითხებზე ყველა პარტიის საარჩევნო პროგრამა შეისწავლეს და ამომრჩევლისთვის პოლიტიკის თემატური გზამკვლევი შექმნეს, რათა მათთვის კონკრეტული სფეროს შესახებ განსხვავებული პარტიული ხედვა გაეცნოთ და ინფორმირებული8 არჩევაის გაკეთება გაეიოლებიათ.

ეს ერთი შეხედვით მარტივი მაგალითი ნათლად ასახავს, თუ როგორ შეიძლება უწყობდეს ხელს საკითხებზე ორიენტირებული მედია ამომრჩევლის ინფორმირებას, რაც მისი, როგრც დემოკრატიული ინსტიტუტის, უმთავრესი ფუნქციაა.

1994 წელს ბუდაპეშტში ეუთოს სამიტში მონაწილე ყველა სახელმწიფომ აღიარა მედიის მკაფიო და მზარდი როლი საარჩევნო პროცესში, ვინაიდან, მედია უზრუნველყოფს შეუცვლელ კავშირს კანდიდატებსა და ამომრჩევლს შორის. ის მართავს საჯარო დებატებს, ახდენს საზოგადოების ინფორმირებას პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკოსების, მათი პლატფორმებისა და საარჩევნო პროგრამების შესახებ. მედია აძლევს ამომრჩეველს საშუალებას, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება, როდესაც ისინი საარჩევნო ურნებთან დადგებიან.

ინფორმირებული არჩევანის უფლება კი დემოკრატიული არჩევნების ერთ-ერთი ასპექტია, ამიტომაც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა წინასაარჩევნო პროცესში მედიის საქმიანობისა და მისი დღის წესრიგის შესწავლას.

რა ხდება ამ მხრივ საქართველოში საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე? როგორ იყენებს მედია საკუთარ "ძალაუფლებას" არჩევნების გაშუქებისას? რამდენად უსმენს მედია საზოგადოებას და რამდენად ასრულებს ის მასზე დაკისრებულ უპირველეს მოვალეობებს?

2016 წლის ივნისში ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტის(NDI) მიერ ქვეყანაში ჩატარებული ბოლო კვლევის მიხედვით, საზოგადოება ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებად სამუშაო ადგილებს, სირარიბეს, ტერიტორიულ მთლიანობას, ინფლაციას და პენსიებს ასახელებს. მედიის განვითარების ფონდის წინასაარჩევნო მონიტორინგი, რომელიც ტელეკომპანიების _ საზოგადოებრივი მაუწყებელი, "რუსთავი 2", "იმედი", "მაესტრო", "ტაბულა", GDS, "პრაიმ-ტაიმის" საინფორმაციო გადაცემებს მოიცავს, აჩვენებს, რომ აპრილი-ივლისის განმავლობაში მედიაში ყველაზე ხშირად პოლიტიკური პარტიების, კანდიდატების აქტივობები, მართლმსაჯულების საკითხები, პოლიტიკური კონფლიქტი, საგარეო ურთიერთობები, საარჩევნო პროცესთან და კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკითხები შუქდებოდა. ნათელია, რომ მედიის მიერ ხშირად გაშუქებული თემები არ ემთხვევა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების ჩამონათვალს. წინასაარჩევნო პერიოდში ქართულ ტელევიზიებში ფართოდ არ5 შუქდება ეკონომიკური და სოციალური საკითხები, რაც საზოგადოებისთვის ყველაზე პრობლემატურ სფეროებს წარმოადგენს.

კითხვებზე პასუხი ორი მიმართულებით შეგვიძლია ვეძიოთ _ ერთი უშუალოდ მედიასტან კავშირში, მეორე კი მისგან დამოუკიდებლად.

მთავარია არ დაგვავიწყდეს, რომ მედია არ ქმნის ახალ ამბავს, მან შეიძლება გადაწყვიტოს ახასლი ამბებიდან რომელს რა მნიშვნელობა მიანიჭოს. მაგრამ ამბის შექმნა დამოკიდებულია გარემოზე, რომელშიც ეს მედია საშუალება მაუწყებლობს. 2012 წელს, როდესაც ამჟამინდელი ხელისუფლება ქვეყნის სათავეში მოვიდა, მისი მთავარი დაპირება სამართლიანობის აღდგენა იყო. ამ პროცესში მიმდინარე გამოძიებები თუ სასამართლო დავებიკი ასახვას სწორედ მედიაში ჰპოვებს. განსაკუთრებით წინასაარცევნო პერიოდში, პოდესაც პოლიტიკური პარტიები აქტიურ საარჩევნო კამპანიას იწყებენ. მედია კი საკუთარ დღის წესრიგს ადგენს სწორედ რომ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ დღის წესრიგზე დაყრდნობით. მთავარია, ამ პროცესში მედიამ არ დაკარგოს მიუკერძოებელი აქტორის როლი და იმ საკითხებზე გაამახვილოს ყურადრება სიღრმისეული გაშუქების გზით, რაც საზოგადოების დღის წესრიგშია და განახორციელოს მისი მთავარი ფუნქცია _ საზოგადოების ინფორმირება.

წინასაარჩევნო პერიოდში მედიისთვის ამ ფუნქციის შესრულება გაცილებით უფრო რთულია და ტანაც არა მხოლოდ საქართველოში. მაგალითად, მეოცე საუკუნის ბოლოს, როდესაც სპარსეთის ყურის კრიზისი გახდა დომინანტი საკითხი, ახალი ამბების გაშუქებისას აღმოჩნდა, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით, ამერიკელები ამ საკითხს ქვეყნის ყველაზე მთავარ პრობლემად მიიჩნევდნენ. მკვლევარებმა ასევე აღმოაჩინეს,ლ რომ ამ საკითხის მედია გაშუქებამ გავლენა მოახდინა პრეზიდენტ ბუშის ზოგადი საქმიანობის შეფასებაზეც, რადგან კრიზისის განმავლობაში, ბუშის შეფასება უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის საგარეო პოლიტიკურ საქმიანობასთან, ვიდრე მის ეკონომიკურ მიღწევებთან. კრიზისამდე კი პირიქით, ბუშის სეფასებისას მის ეკონომიკურ საქმიანობას უფრო დიდი წონა ჰქონდა, ვიდრე საგარეო პოლიტიკას.

მართალია, მედია არ არის დამოუკიდებელი აქტორი დღის წესრიგის შექმნისას და პოლიტიკური აქტორები თუ საზოგადოება, ვინც ამბავს ქმნის დიდწილად განსაზღვრავენ საინფორმაციო ნაკადს, თუმცა სწორედ ამაში მდგომარეობს, მედიის მთავარი დილემა არჩევნების წინა პერიოდის გაშუქებისას _ ან გაიზიაროს BBC _ის მაგალითი და უარუნველყოს ამომრჩევლის ინფორმირებული არჩევანი, ან ტავად იქცეს პოლიტიკურ ინსტრუმენტად წინასაარჩევნო პროცესში.

თამარ გაგნიაშვილი

როცა შენს ქალაქში ჰირველი ხარ...

გიორგი ტაბიძე თვრამეტი წლის პირველ ოქტომბერს გახდება. ეს სამტრედიელი ბიჭი, რომელმაც წელს მე-3 საჯარო სკოლა ვერცხლის მედალზე დაამთავრა, ეროვნულ გამოცდებს ქუთაისის №1 საგამოცდო ცენტრში აბარებდა და, როგორც მისი თანატოლები (ასევე ჯერ კიდევ აბიტურიენტები) გვეუბნებიან, გამოცდებში მიღებული მაღალი შეფასებით მრავალთა ყურადღებას იპყრობს.

გიორგი ტაბიძემ ეროვნულ გამოცდებში 4 საგანი ჩაბარა. ზოგად უნარ-ჩვევებში 80 ქულიდან 76 ქულა მიიღო, უცხო ენაში (ინგლისური) 100 ქულიდან _ 98, ქართულ ენასა და ლიტერატურაში 80 ქულიდან _ 68, ქართულ ლიტერატურაში კი 80 ქულიდან _ 65.

გიორგი ტაბიძე ზოგადი მონაცემებით უკმაყოფილო არ არის, თუმცა ორ კონკრეტულ საგანში უფრო მეტს ელოდა: "ვფიქრობ, რომ 4-ვე საგანში ჩემი მხრიდან მეტის გაკეთება იყო შესაძლებელი. ზოგადი უნარების მათემატიკურ ნაწილში უმაღლესი 40 ქულა მოვიპოვე, რაც შეეხება ვერბალურ ნაწილს, სტანდარტი არ არსებობს და ყველაფერი შესაძლებელია. ის 4 ქულაც აქ დამაკლდა.

ინგლისურში იმედი ნამდვილად არ გამცრუებია, რადგან 100-ს ბევრით არ ჩამოვუვარდები. ზუსტად 98 ქულას ვვარაუდობდი. ქართული ლიტერატურის გამოცდის ჩაბარება საკმაო სირთულეებს მოითხოვს. ამდენად, ჩემი ქულით არც ამ შემთხვევაში ვარ უკმაყოფილო. რაც შეეხება ქართულ ენასა და ლიტერატურას, მეტს ველოდი".

გიორგი ტაბიძემ საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალში მხოლოდ 5 ფაკულტეტი და 4 უმაღლესი სასწავლებელი ჩაწერა. პრიორიტეტად თავისუფალი უნივერსიტეტი აირჩია, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. როდესაც გამოცდების ჩაბარება დაასრულა და ქულები გაიგო, საშუალება ჰქონდა, უნივერსიტეტების თანმიმდევრობა გადაეადგილებინა, თუმცა მან ეს არ გააკეთა:

"სხვა დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლები და ფაკულტეტები თავის დაზღვევის მიზნით ჩავწერე. ისე კი მხოლოდ თავისუფალი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტობა მინდა; გამოცდებზე მიღებული შედეგებით თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ჩავირიცხები კიდეც იქ."

გიორგი ტაბიძე ნინოშვილის უბანში, ინტელიგენტის ოჯახში დაიბადა. დედა თეა ჩიმაკაძე პროფესიით პედაგოგია, ამჟამად მას საკუთარი სილამაზის სალონი აქვს გახსნილი. პროფესიით ინჟინერი მამა მამუკა ტაბიძე საკუთარი ბიზნესითაა დაკავებული.

გიორგი ტაბიძე სასწავლებლად მშობლებმა პირველ კლასში მე-3 საჯარო სკოლაში შეიყვანეს, რომელიც მან წელს წარმატებით დაასრულა.

როგორც მისი პედაგოგები მიიჩნევენ, იგი მშობლიურ სკოლას მომავალშიც ასახელებს.

გიორგი და მისი მეგობარი აბიტურიენტები ჩარიცხვის პასუხებს 25 აგვისტოდან ელოდებიან.

ნინო ნანიტაშვილი

აგვისტო იყო მაშინ...

ცხელი აგვისტო.

წელი 1924.

ისევ სისხლი, ცრემლი, ცხედრები, შიში, ტერორი...

1921 წლის 25 თებერვლის ანექსია დაგმეს და დამოუკიდებლობის აღდგენა სცადა გულმხურვალე ქართველ პატრიოტთა ერთმა ნაწილმა. სცადეს, თავი არ დაზოგეს, სისხლიც დაღვარეს, თუმცა საწადელ მიზანს ვერ მიაღწიეს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჩაუდგა შეფიცულთ სათავეში და დაიწყო საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლა.

სასტიკად გაუსწორდნენ ბოლშევიკები აჯანყებულებს, საბარგო ვაგონებში პირუტყვივით გამომწყვდეული ხალხი ვერაგულად ჩაცხრილეს.

საფიჩხიის ტყეში ვერაგულადვე, ყოველგვარი გასამართლების გარეშე, შეთითხნილი ბრალდებით სიცოცხლეს გამოასალმეს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა) და სამღვდელო კრებული.

რამდენიმე შეფიცულთან ერთად პარიზში პოლიტიკურ ემიგრაციას შეუერთდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

მოგვიანებით დამოუკიდებელი საქართველოსთვის ვნებული ქაქუცას ნეშტი გულში ჩაიკრა ქართულმა მიწამ.

მოგვიანებითვე ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა მიტროპოლიტი ნაზარი და მასთან ერთად მოწამეობრივად აღსრულებული სამღვდელონი.

ისევ მოგვიანებით ტაბუდადებული თემა გაცხადდა.

სოფელ ჩხენიშში, ცხენისწყლის მიდამოებში კირმოყრილი საფლავები აღმოჩნდა.

1924 წლის აგვისტოს ცხელ დღეებში ცხელი ტყვიით გულგამირული ქართველები განისვენებენ შიგ.

მართალია, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება კრახით დაგვირგვინდა, რომელიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდა მიზნად, თუმცა, ამ მოვლენამ უდიდესი როლი შეასრულა ქართველთა ცნობიერების ამაღლებისა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის საქმეში.

92 წელი გავიდა 1924 წლის სისხლიანი აგვისტოს შემდეგ.

ლევან გაბეჩავა

ვცდილობთ, ძველებური სახე შევუნარჩუნოთ

ქეთევან ჭელიძე

როგორი პროგრესული ქვეყანაც არ უნდა ავაშენოთ, ნიკო ნიკოლაძე თაობებს მაინც განაცვიფრებს თავისი უსაზღვრო შესაძლებლობებით, ცხოვრების წესით, ტემპით, იდეების მრავალფეროვნებითა და პრაქტიკული საქმიანობის მრავალმხრივობით. ნიკო და მისი ოჯახის წევრები თითქმის ყველაფერში პირველი ქართველები იყვნენ და ამას ვერაფერი შეცვლის.

საუკუნეები დასჭირდება, ნიკო ნიკოლაძის მსგავსი ადამიანი კიდევ მოევლინოს ქვეყანას. მასზე საუბარი, ალბათ, შორს წაგვიყვანს, თუმცა რამდენჯერაც არ უნდა მოხვდე მის მაშულში, სიამაყით ივსები და სიამოვნებით ისმენ ამბავს ერთ დიდ ძლევამოსილ კაცზე, დროს რომ გაუსწრო და მომავალი ქართველებს ხელისგულზე გადაუშალა.

ამჯერად ჩვენი იქ მისვლის მიზანს, შემეცნებითი და ესთეტიური სიამოვნების მიღების გარდა, სახლ-მუზეუმის კაპიტალურ რემონტზე საგაზეთო წერილის მომზადება წარმოადგენდა.

ქალბატონი ლია ბიბილეიშვილი,

დიდი ნიკოს შესახებ მაღალინტელექტუალური საუბრის შემდეგ, ექსკურსიას ისევ გვიწევდა და უკვე დაუსრულებელ თუ მიმდინარე სამუშაოებს გვათვალიერებინებდა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, ფონდ "ქართუსთან" დადო ხელშეკრულება, რომლის მეშვეობით სახლ-მუზეუმის რემონტი ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო. სამუშაოები ორ ეტაპად წარმოებს. პირველი ეტაპი 15 სექტემბრიდან დეკემბრის ბოლომდე პერიოდს მოიცავდა, რამაც უამინდობის გამო ერთი თვით გადაიწია. იმის გამო, რომ მარანში, რომელიც სახლის სარდაფში მდებარეობს, წყალი დადგა, იატაკის დაგება შეუძლებელი გახდა. სამწუხაროდ, ზამთარმა თავისი კვალი მაინც დაატყო ახლად გარემონტებულ შენობას. კედლები აქა-იქ დაიბზარა და ოთახებში ჭერიდან წყალი ჩამოვიდა.

სამუშაოების მეორე ეტაპი წელს მაისში დაიწყო და მას საქართველოს სამშენებლო ჯგუფი "21-ე საუკუნე" ახორციელებს. პირველ რიგში მათ მარნის მოწესრიგება დაიწყეს. მართალია, იატაკი ჯერ ისევ აყრილია, თუმცა დრენაჟი ნიკოს ანალოგით გააკეთეს და წყალი აღარ დგება. ასევე გაარემონტეს დამხმარე ნაგებობა, სადაც სახლ-მუზეუმის დირექცია და თანამშრომელთა ოთახებია განლაგებული. ეზოში გაკეთდა კაპიტალური ტუალეტი, ხოლო მასთან მისასვლელი ბილიკი ფილებით დაიფარა.

აღადგინეს ნიკოსეული ქარის ძრავა.

საკმაოდ ძვირადღირებული და შრომატევადი სამუშაოები უტარდება შენობას, რომელშიც ნიკოს თავლა და ბოსელი ჰქონდა განთავსებული. როგორც "21-ე საუკუნის" დამფუძნებელი იური ჭოლოკავა გვიხსნის, შენობა თითქმის მთლიანად განახლდა, გადაიხურა, დაიგო იატაკი. ამჯერად მიმდინარეობს მოპირკეთებითი სამუშაოები. ვცდილობთ, ძველებური იერ-სახე შევუნარჩუნოთ და მომავალ თაობას ასეთად დავუტოვოთ, _ გვეუბნება ბატონი იური. სამუშაოებს მისი შვილი, ლაშა ჭოლოკავა აწარმოებს. იგი სიამოვნებით გვაცნობს ხის ხელოსანს, ზვიად კირთაძეს, რომელიც ხელით ამუშავებს საუკუნის წინანდელ ფიცრებს. ახერხებს კიდეც კედლებისთვის პირველადი სახის შენარჩუნებას. ნამუშევარი ზვიადს სააგენტოს წარმომადგენლებმაც მოუწონეს. ქალბატონი ლია ბიბილეიშვილიც კმაყოფილია მშენებელთა ამ ჯგუფის ხარისხიანად შესრულებული სამუშაოების. იმედს იტოვებს, რომ მესამე ეტაპს, რომელიც ეზოს კეთილმოწყობას ითვალისწინებს, ეს ადამიანები შეასრულებენ. დავძენთ, რომ ისინი მშენებლები სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაშიც მონაწილეობდნენ.



გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია და ეს, ალბათ, ყველაზე უკეთ ქალბატონმა ლიამ იცის. იცოდნენ მისმა მშობლებმაც, ვალერიანე ბიბილეიშვილმა და თინა ჭილაძემ. ერთი ექსპონატით დაწყებული მუზეუმი რუტინული შრომით, ძიებით როგორ გამდიდრდა და კიდევ უფრო საინტერესო გახდა.

მუზეუმი თავისი შინაარსით ინფორმაციულიაო, _ აღნიშნავს ქალბატონი ლია. თვლის, რომ უკვე დროული, აქ რეექსპოზიცია გაკეთდეს. შარშან რემონტის გამო ჩამოხსნილი სურათები ისევ ძირს დევს და დამთვალიერებელს არცთუ სრულყოფილ წარმოდგენას უტოვებს ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებასა და ღვაწლზე.

კულტურის სამინისტრო მიზეზად თანხის უქონლობას ასახელებს. სპონსორი კი დღემდე ვერ მოიძებნა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი, ნიკა ანთიძე გვერდით უდგას სახლ-მუზეუმის დირექტორს, მაგრამ ჯერჯერობით ყოველგვარი ცდა უშედეგოა.

ერთი დიდი ხნის ჩანაფიქრიც გაგვიმხილა ქალბატონმა ლიამ, მუზეუმის ტერიტორიაზე ჩოგბურთის კორტების მოწყობა აქვს განსაზღვრული. ეს ხელს შეუწყობს სახლ-მუზეუმით ახალგაზრდების დაინტერესებას. უსახსრობის გამო დღემდე ეს განზრახვაც მორიგ გეგმად რჩება. სამაგიეროდ, ახლად გარემონტებული თავლა და ბოსელი რამდენიმე ფუნქციას იძენს. მასში განთავსდება კაფე, ბიბლიოთეკა და სალონური ტიპის საკონფერენციო დარბაზი. აქ კონფერენციების გარდა მოეწყობა კინო-ჩვენება, გამოიფინება ბატონი ვალერიანე ბიბილეიშვილის მიერ შეგროვებული მასალები დიდი ჯიხაისა საქმეზე ნიკოს ნაცნობ-მეგობრებზე. ეზოს იკლებენ ჭრიჭინები, საუკუნეებს გადასული ხეები კი უთქმელად ყვებიან ნიკოლაძეთა კარის ამბავს.

"ცოტნეობა" ხობში

"ცოტნეობა" _ ცოტნე დადიანის ხსენების დღე საეკლესიო-სახალხო დღესასწაულია ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე თავდადებული მამულიშვილის, სახელმწიფოს ერთიანობის სიმბოლოს, საქართველოს ეროვნული გმირი. მან გენიალური დიპლომატიითა და გამჭრიახობით, მაღალი ზნეობით, გამოჩენილი რაინდობით, მოყვასისადმი თავდადებითა და სიყვარულით ააცდინა სამშობლოს გარდაუვალი საბედისწერო ტრაგედია.

ცოტნე დადიანმა ნებაყოფლობით, გოლგოთას გზის არჩევანით გამოჩენილი გმირობის, სიბრძნისა და კაცთმოყვარეობის შედეგად გარდაუვალ სიკვდილს გადაარჩინა ერის მმართველნი, რჩეული ვაჟკაცები და დიდებულები. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ცოტნე დადიანი ქართული სახელმწიფოებრივი იდეის, საქართველოს პროგრესული ძალების კონსოლიდაციის, მომავალი თაობებისათვის კი ეროვნული ღირსებისა და პატრიოტიზმის სიმბოლოა. ქვეყნის დიდგვაროვანი ფეოდალი ისტორიაში თავისი გმირულ-აღმსარებლობითი საქციელის გამო შევიდა.

მჯერა, ჩვენი მომავალი თაობები ცოტნეს გმირობის მაგალითზე ნამდვილ ვაჟკაცებად და ქვეყნის მოამაგეებად გაიზრდებიან.

მეამაყება, რომ საქართველოში პირველად სამტრედიაში ყოფილი ილორის საჯარო სკოლაში (დირექტორი ნარგიზა გოგია) ჩამოვაყალიბეთ ნორჩ ცოტნეელთა წრე. მოვაწყვეთ ექსკურსიები ქალაქ ფოთში, ხობსა და თბილისში. შევისწავლეთ ცოტნე დადიანის ცხოვრება-მოღვაწეობის ისტორია. ილორელი პატარა ცოტნეიდელები: თამარ ნიკოლეიშვილი, სოფო, სალომე, შოთა ჩხაიძეები, სოფო მუქერია, ვანო მარგიანი, მედეა ხვედელიძე და ვეფხია ზურაბიანი თავიანთი ნამუშევრებით ზედიზედ წარსდგნენ _ ხობის, ფოთისა და თბილისის, "ფაზისის" მეცნიერებათა აკადემიის წევრთა წინაშე. მოსწავლეებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის მიერ გამოცემულ წიგნში "ცოტნეიდელი" (2011-2012 წ.წ. გვ. 357) შეტანილ იქნენ ქალბატონ ნარგიზ გოგიასთან და ქალბატონ გულიკო გოგიტიძესთან ერთად.

რამდენიმე დღის წინ 12 აგვისტოს მიწვეულნი ვიყავით ქალაქ ხობში "ცოტნეობა 2016". პირველად "ცოტნეობა" ჩატარდა 1980 წლის 12 აგვისტოს, ხოლო 2000 წლიდან იგი გახდა წმინდა საეკლესიო-სახალხო დღესასწაული. ხობი საზეიმოდ იყო მორთული. კულტურის სახლის მიმდებარე ხეივანთან გაიმართა "ცოტნეობისადმი" მიძღვნილი ღონისძიება. საპატიო "ხობელობის" მინიჭების ცერემონიალი, სპორტული შეჯიბრებები, კონცერტში მონაწილეობდნენ ანსამბლი "ქართული ხმები", ანრი ჯოხაძე, სოფო ბედია, ადგილობრივი ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები. ხეივანში წარმოდგენილი იყო ფაცხები, მეგრული სამზარეულო, ეთნო და არქეოლოგიური კუთხეები.

ღონისძიებას უძღვებოდა ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი, დოქტორი, სახოგადოებრივი მოძრაობა "ჭყონდიდელ-ცოტნეიდელის" დამაარსებელი და თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ნადარაია. ბატონი ნუგზარი 29 წლის ასაკში (დაბადა 1945 წ. ქალაქ ფოთში) დაინიშნა ხობის რაიონის რაიკომის პირველ მდივნად, სადაც 12 წელი იმუშავა, სწორედ მისი "თავკაცობის" პერიოდში ჩაეყარა საფუძველი "ცოტნეობის" დღესასწაულს. ბატონმა ნუგზარმა აღნიშნა, რომ ფაზისის აკადემია არის უძველესი სამეცნიერო დაწესებულება, III-IV საუკუნეებში ფუნქციონირებდა ახლანდელ ფოთში, ისტორიულ ფაზისში და ევროპიდან, აზიიდან და სხვა შორეული კონტინენტებიდან, რაც დაფიქსირებულია ისტორიულ წყაროებში, ჩამოდიოდნენ, რათა მოეწყვიტათ ცოდნის ნაყოფი და ამით ამაყობდნენ. ჩვენ კი უძველესი ისტორიული სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი აღვადგინეთ, საზოგადოებას მიესალმნენ: სოზარ სუბარი, კოკო გამსახურდია, პოეტები და მწერლები: ლაშა გვასალია, მერი აბრამია, აკადემიკოსი ნანა ჭირაქაძე, მიტროპოლიტი გრიგოლი _ ფაზისის აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი, გოჩა ქაჯაია _ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი, გოდერძი ბუკია _ საქართველოს პარლამენტის წევრი, ხობის მაჟორიტარი დეპუტატი, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი და სხვები. ეს დიდი ქართველობაა. მჯერა! ჩვენი მომავალი თაობები ცოტნეს გმირობის მაგალითზე ნამდვილ ვაჟკაცებად გაიზრდებიან.

გულიკო გოგიტიძე
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი

ჩვენი ნილი "ვეფხისტყაოსანი"

ნათია ნაცვლიშვილი

ის ჩვენ გვიცავს, გვამდიდრებს, ჩვენს სულიერ საგანძურად საუკუნეებია ქცეულა, განძს ერთგული გუშაგობა უნდა გავუწიოთ. "ვეფხისტყაოსანი" ყველა საუკუნის გენიალური ქმნილებაა, ამიტომაც ოცდამეერთე საუკუნის ქართველები უფრო ახლოს მიდიან მასთან. ცოტა ხნის წინ მწერლების ინიციატივით "ვეფხისტყაოსნის" საჯაროდ კითხვის ტრადიცია დამკვიდრდა, ახლახან კი _ მისი გადაწერის.

21 ივლისს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მუზეუმში დაიწყო და სამ დღეს გაგრძელდა ძალზე მნიშვნელოვანი აქცია-პროექტი "სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!" ფარგლებში; ღონისძიების მონაწილეებმა გენიალური "ვეფხისტყაოსნის" სტროფები კალმით გადაწერეს, საბოლოოდ, შეიქმნება უნიკალური ხელნაწერი წიგნი.

აქციაში მონაწილეობა მიიღო და ყველა მონაწილეს წარმატება უსურვა მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორმა ნოდარ ავდალიანმა. "ვეფხისტყაოსანი" გადაწერეს სასახლის მოსწავლეებმა, პედაგოგმა, თანამშრომლებმა, ასევე სხვა მსურველებმა, სხვადასხვა პროფესიის და თაობის ადამიანებმა.

პროექტის, რომლის ხელმძღვანელია ჟურნალისტი მაია ტყემალაძე, მიზანია შოთა რუსთაველის შემოქმედების, გენიალური პოემის, ქართული ანბანის პოპულარიზაცია, მის გარეშემო ყველა თაობის ადამიანის შემოკრება და გაერთიანება; მისი მასშტაბი დღითიდღე ფართოვდება. აქციის მონაწილეები კალმით წერენ პოემის თითო სტროფს და მათი ხელნაწერები, საბოლოოდ, ერთ წიგნად აიკინძება. ხელნაწერი "ვეფხისტყაოსნის" საზეიმო წარდგენა სექტემბრის ბოლოს გაიმართება. აღსანიშნავია, 2016 წელი გაერომ, მწერლის იუბილესთან დაკავშირებით, შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა.

"ვეფხისტყაოსნის" ხელით გადაწერის პროექტს სამტრედიის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა. იდეის თანახმად, პოემა სპეციალურ ფურცლებზე მელნით იწერება, ამ საინტერესო პროექტში ჩართვის შესაძლებლობა ყველა ადამიანს ეძლევა.

შემოთავაზებას სიამოვნებით დასთანხმდნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები, საჯარო მოხელეებთან ერთად პროექტში მონაწილეობა მიიღეს საჯარო სკოლების პედაგოგებმა, მოსწავლეებმა, საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებმა.

"სამტრედიის მაცნემ" პროექტის რამდენიმე მონაწილეს კომენტარი სთხოვა:

"ლიზა კრავეიშვილი, გამგებლის მოადგილე: "ვეფხისტყაოსნის" ფასი ყველა ქართველმა იცის, მას ძველთაგანვე მზითევში ატანდნენ, უმნიშვნელოვანესი წიგნია, ეს ის ძეგლია, რომელსაც ყოველ დღე სანთელი უნდა აუნთო ადამიანმა. ჩვენი სავიზიტო ბარათია, გაოცებული ვარ, იმ საუკუნეში ეს გენიალური ნამუშევარი როგორ შეიქმნა, რომ საუკუნეებს გაუძლო და მსოფლიო აღაფრთოვანა. მადლობას ვეუბნები ყველა იმ ადამიანს, რომელსაც "ვეფხისტყაოსნის" გადაწერის იდეა გაუჩნდა. მისი მცირე მონაკვეთი გადასაწერად სამტრედიაშიც შემოვიდა. ბედნიერი ვარ, რომ ამის ღირსი გავხდი. ეს იყო ძალიან საყოველთაო პროექტი, იგი არ იყო გათვლილი მხოლოდ თანამდებობების პირებზე. ყველას შეეძლო მონაწილეობის მიღება, ვისაც სურვილი ექნებოდა ამისი და ვისი კალიგრაფიაც იმდენად მისაღები იქნებოდა, რომ შეურაცხყოფას არ მიაყენებდა ამ დიდებულ წიგნს. მაქვს ამაღლებული გრძნობა და ეს იქნება ჩემთვის ძალიან კარგი მოსაგონარი. ჩემი საყვარელი ფრაზაა ვეფხისტყაოსნიდან: "სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი".

დავით ბახტაძე, მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე:

"რა თქმა უნდა, ყველა ქართველისთვის ეს განსაკუთრებული ნაწარმოებია, უდიდესი მნიშვნელობისაა ეს პროექტი, ხშირად თუ ჩატარდება მსგავსი რამ უკეთესია, რომ ჩვენმა მომავალმა თაობამ არ დაივიწყოს ეს შესანიშნავი ნაწარმოები. ჩემი მოკრძალებული წვლილი მეც შევიტანე 1 სტროფის გადაწერის საქმეში, მეტად საპასუხისმგებლო მისია დამეკისრა. მომავალ თაობას უნდა მივცეთ მაგალითი, რომ ამ ნაწარმოებს მეტი ყურადღება დაუთმონ და ჩვენს განათლებაზე მეტად ვიზრუნოთ".

ნინო ონიანი, №12 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი:

"პირველ რიგში გეტყვით იმას, რომ ძალიან ვინერვიულე, ეს არის მსოფლიო ლიტერატურის შედევრი, ყველა ქართველისთვის ხელიხელსაგოგმანებელი წიგნი, სათაყვანებელი ნაწარმოები. ასე, ალბათ, მისაღები გამოცდების დროს არ მინერვიულია, საამაყოა, რომ ამ ერთი სტროფის დაწერა შემომთავაზეს, რომ სხვათა გვერდით ჩემი ნამუშევარიც იქნება. მთელი მობილიზებით ვცდილობდი, მომექარგა, მაქსიმუმი ჩამედო მასში. ასე მგონია, მაინც ვერ შევძელი ისე, როგორც "ვეფხისტყაოსანს" ეკადრება. თან, კალმით წერა ძალიან რთულიც არის, მადლობელი ვარ, რომ მეც შემომთავაზეს ამ პროექტში მონაწილეობა. იგი აიკინძება წიგნად და ალბათ, რამდენიმე ასეული ეგზემპლარი გვექნება, რომ ჩვენც შევიძინოთ და მომავალში გავიხსენოთ, რა განძს შევეხეთ. საუკუნეების განმავლობაში მონასტრებში კალიგრაფები წლობით წერდნენ ამ ნამუშევრებს, ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის რომ შემოენახათ, იმათ ფონზე მე ერთი უსუსური ქართველი ვარ, პროექტის თითოეულ მონაწილეს, ასევე მოგვეცა საშუალება, შთაბეჭდილებათა წიგნში დაგვეტოვებინა ჩანაწერები.

გიორგი შუბლაძე: სპეციალისტი გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში:

"მოხარული ვარ, რომ დამდეს პატივი და მივიღე ამ პროექტში მონაწილეობა, ღირსი გავხდი, თუნდაც ერთი სტროფი დამეწერა. კარგია, რომ რამდენიმე ადამიანის მონაწილეობით ხდება ერთი წიგნის შექმნა, ეს ძალიან კარგი პროექტია".

ბეჟან გეგეშიძე _ მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი:

მეც უდიდესი სიხარულით შევუერთდი ამ პროექტს. მონატრებული ვიყავი კალმით წერას. "ვეფხისტყაოსანი" ჩემთვის მართლაც უპირველესი წიგნია. მის უდიდეს სტრიქონებს ყოველი ჩვენთაგანი გონებაში ხშირად ვიმეორებთ. რაც შეეხება მის აფორიზმებს, რომელთა გახსენებაც ახლა მთხოვეთ, ძალიან მიყვარს "მეგობრობა გზად და ხიდად" და "სიყვარულსა მალვა უნდა".

ორი ქართველი კვარცხლბეკზე

ტალახაძე ოლიმპიური ჩემპიონია, ირაკლი თურმანიძე _ ბრინჯაოს მედალოსანი!

16 აგვისტოს, რიო-დე-ჟანეიროში მიმდინარე ზაფხულის XXXI ოლიმპიურ თამაშებზე, ძალოსნობაში საქართველოს სახელით მოასპარეზე ლაშა ტალახაძემ (+105) ოქროს მედალი მოიპოვა.

ტალახაძემ რიოში ექვსივე ცდა დამაჯერებლად შეასრულა და ჯამში 473 კგ (ატაცში 215 კგ. აკვრაში 258 კგ) დააფიქსირა.

აღსანიშნავია, რომ ტალახაძის მაჩვენებელი ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდია ორჭიდის ჯამში.

გამოსვლა +105 კგ-ში მესამე ადგილზე დაასრულა ირაკლი თურმანიძემ, რომელმაც ასევე 6-ვე ცდა დამაჯერებლად შეასრულა და ჯამში 448 კგ დააფიქსირა (207+241) და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

ამ დროისთვის საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ანგარიშზე 5 მედალია: თითო ოქრო-ვერცხლი და სამი ბრინჯაო.

შეგახსენებთ, რომ 16 აგვისტოს ბრინჯაო ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე შმაგი ბოლქვაძემ (66) მოიპოვა, მანამდე კი პრიზიორები ძიუდოისტები გახდნენ _ ვალერი ლიპარტელიანმა (90) ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, ლაშა შავდათუაშვილმა (73) _ ბრინჯაო.



ვულოცავთ!

დეკანოზ ანტონს (ვაშაკიძე)

სხვა დროს მოუწია ჩემს თაობას ცხოვრება.

არ ვაჭარბებ, სკოლაშიც შეუმოწმებიათ ჩვენთვის ნაადგომევს ხელები (წითელი კვერცხები ხომ არ გვჭერია ხელში) და უკვე პედაგოგს, სასაფლაოზეც მიდევნებია თვალი რომელი მოსწავლე მივიდოდა საფლავზე კვერცხით!

დრო იყო ასეთი!

მერე საბჭოთა კავშირი დაიშალა.

მერე პირველი მოქმედი ტაძარიც გაჩნდა სამტრედიაში და პირველი მოძღვარიც, მამა კლიმენტი (გვარს ვერ ვიხსენებ) ტყიბულიდან ვარო მითხრა ერთხელ, წინაპართა საფლავები რომ ვაკურთხებინე და ლამის სამსახურის ფასად დამიჯდა "თავხედობა"!

მერე ღვთის წყალობით ტაძრებიც გაიხსნა, ხალხმაც იბრუნა პირი ეკლესიისაკენ და...

სასიამოვნოა, რომ არა ერთმა და ორმა ახალგაზრდამ აირჩია მეტად რთული და საპატიო მისია _ იყოს მოძღვარი, მქადაგებელი, დავრდომილთა, ცოდვაში ჩავარდნილთა შემწე, მხსნელი, ნუგეში, იმედი.

ჩემს თვალწინ განვლო თქვენმა ბავშვობამ.

მახსოვს (ერობაში) ყმაწვილკაცი ანტონ ვაშაკიძე საზოგადოებრივ ტრანსპორტში მორიდებით მჯდარი, საოცრად მეტყველი თვალებით.

რამდენი სიღრმე, სიბრძნე, ინტელექტი, სათნოება და სიყვარულია თქვენს პიროვნებაში.

ერთი ვარ ათასთაგან (კიდევ ბევრთაგან), მოუთმენლად რომ ელის თქვენს ყოველ ქადაგებას.

საოცარი სიმშვიდით, რომ საუბრობთ, ნეტავი გრძნობდეთ როგორი მსუბუქები, ამაღლებულები გავდივართ ტაძრიდან. ჩვენი ცოდნის სალარო კი, რამდენადმე მდიდრდება თქვენი მოსმენის შემდეგ.

ბრძენია ხალხი, არა, მე არა ვარ ამ სიტყვების ავტორი.

ჰოდა, ყველა კრიტერიუმით, ყველა საზომით შეგაფასათ მრევლმა, ხალხმა უმაღლესი ნიშნულით.

ამ დღეებში იუბილარი ხართ.

ვკადნიერდები...

ქრისტესმიერი სიყვარულით, მოკრძალებით, გილოცავთ დაბადების დღეს.

უფალი შეგეწიოთ თქვენ, თქვენს ოჯახს.

პატივისცემით ლევან გაბეჩავა

მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა მარიამობა

მთავარანგელოზმა გაბრიელმა მარადქალწულ მარიამს მისი ამქვეყნიური არსებობის დასასრული ახარა.

ღვთისმშობელს მოკვდავთა ხვედრი არ მოელოდა, იგი მაშინვე ღმერთთან ახლოს უნდა დამკვიდრებულიყო, ისე, როგორც ნაწინასწარმეტყველები იყო, მას უნდა მიეძინა.

წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში, სადაც ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ცხოვრობდა დედა ღვთისა, მან გამოსამშვიდობებლად მაცხოვრის მოწაფე-მოციქულებს მოუწოდა.

ყველა უმალ ეახლა თომას გარდა, რომელიც ახალ აღთქმას ქადაგებდა შორეულ ქვეყნებში.

მოციქულებმა იხილეს ნეტარი მიძინება მარადქალწული მარიამისა.

ქრისტემ ანგელოზთა მიერ ზეცად აღიყვანა მისი სული.

გეთსამანიის ბაღში განუსვენეს მოციქულებმა წმინდა მარიამის სხეული.

მესამე დღეს თომა იერუსალიმს დაბრუნდა, მოინდომა სამარეში ღვთისმშობლისადმი თაყვანი ეცა.

გახსნეს აკლდამა და ნახეს, რომ იქ მხოლოდ სამოსელი დარჩენილიყო, დედა ღვთისა ზეცად ამაღლებულიყო.

28 აგვისტოს (ძვ. სტილით 15 აგვისტო) ეკლესია ღვთისმშობლის მიძინებას დღესასწაულობს.

მოქმედ ტაძრებში შესაბამისი ღვთისმსახურება აღევლინება.

ღვთისმშობელმა დაიცვას და გააძლიეროს მისი წილხვედრი ქვეყანა.

ლევან გაბეჩავა

თარიღი

1929 წლის 29 აგვისტოს დაიბადა მამა გაბრიელი. რომელიც საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

წმინდანის ხსენების დღედ 2 ნოემბერი დადგინდა.

როგორ გაჩნდა "გამარჯობა"

(ხალხური თქმულება)

ლევან გაბეჩავა

ქართველები მუდამ მამაცი მებრძოლები იყვნენ. ქართველი კაცი იმიტომ იყო გულადი, რომ მკლავში ძალა ჰქონდა და მარჯვენა არ ღალატობდა. ერთხელ დიდი ბრძოლა გადაიხადეს ქართველებმა. ბრძოლა გათავდა. ხალხის ზღვა დამდგარიყო. მტერი ისე მოესპოთ, რომ ამბის მთქმელიც აღარ დარჩენილიყო.

ერთად შეგროვდა ომის შემდგომ ლაშქარი. ყველას მარჯვენა ხელში ხმალი ეჭირა და გაიძახოდნენ:

ჩვენს მარჯვენას გაუმარჯოს-ო!

მტერზე გამარჯვება მიულოცა ხელმწიფემ ხალხს და მიმართა:

თქვენს მარჯვენას გაუმარჯოსო!

წესად გახდა ამის შემდეგ, ქართველები როცა ერთმანეთს შევხვდებით, თავს დავუკრავთ და ვეტყვით: "შენს მარჯვენას გაუმარჯოს" _ გამარჯობა!

ასე გაჩნდა გამარჯობა, მოგვითხრობს ერთ-ერთი ხალხური თქმულება.

რაც შეეხება შეხვედრისას ხელის ჩამორთმევის ტრადიციას, გაცილებით ძველია და სათავეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე იღებს.

ურთიერთისადმი ნდობის გამოსახატავად ადრე, თურმე, ადამიანები ერთმანეთს ხელისგულებს უსინჯავდნენ რაიმე ისეთი ხომ არ ეჭირათ ხელში, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მოსაუბრეზე, შემხვედრზე, რაიმე ზიანის მიყენება.

ასეულმა წელმა გაიარა მას შემდეგ. ამჟამად კი ეს ტრადიცია, საუბარია შეხვედრისას მარჯვენა ხელის ჩამორთმევაზე მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხში ტრადიციად იქცა და ურთიერთისადმი კეთილი სურვილების, კეთილი განწყობის საუკეთესო გამოხატულებაა.

მასწავლებელთა მასწავლებელი

ნათია ნაცვლიშვილი

არიან ადამიანები, რომლებიც საქვეყნო საქმეთა საკეთებლად ევლინებიან ქვეყანას, ასეთი ზეგარდმო მადლით ცხებული კაცები იმ ქვეყნად წასვლის შემდეგაც არ კარგავენ ელვარებას და სიკაშკაშეს. ასეთად ესახება მშობლიურ სოფელ ბაშს ლავრენტი თვალავაძე, ულირსეულესი პიროვნება და პედაგოგი. თუმცა ამ ადამიანის ღვაწლი სოფლის მასშტაბებს გასცდა. 30 აგვისტოს ლავრენტი თვალავაძეს 105 წელი შეუსრულდებოდა. იგი 99 წლის ასაკში გარდაიცვალა.

იყო ბაშის საშუალო სკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, მრავალი ჯილდოს და ღირსების ორდენის კავალერი, პერსონალური პენსიონერი.

იგი ღარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა სამტრედიის პედაგოგიური ტექნიკუმი და ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. შემდეგ დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი და მუშაობა კასპის რაიონში განაგრძელა, 1939 წელს თავის მშობლიურ სოფელს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ დაუბრუნდა.

არის მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, იბრძოდა მოსკოვის დაცვის ქვედანაყოფებში, საიდანაც მკერდდამშვენებული ისევ თავის მშობლიურ სკოლას დაუბრუნდა, სადაც 25 წლის განმავლობაში მუშაობდა სკოლის დირექტორად და უდიდესი ენერგია და ძალისხმევა შეალია მის განვითარებას. მისი და სკოლის კურსდამთავრებულთა აქტიური მონაწილეობით სოფელში ახალი სამსართულიანი შენობა აიგო, სადაც მოეწყო საჭირო ლაბორატორიები, კაბინეტები, სპორტული დარბაზი...

ღირსეული პედაგოგი აქტიურად მონაწილეობდა რაიონის და სოფლის საზოგადოებრივ საქმიანობაში. 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მისი ძირითადი საქმიანობის პარალელურად შესანიშნავად ასრულებდა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას და როგორც დეპუტატი, დაუცხრომლად იღვწოდა სოფლის და ხალხის საკეთილდღეოდ, მონაწილეობდა სოფლის ელექტროფიცირების და რადიოქსელის მოწყობის საქმეში, წვლილი მიუძღვის შინმოუსვლელი ჯარისკაცის საბრძოლო დიდების მუზეუმის დაარსებაში, სოფლის კეთილმოწყობის სხვა საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში.

ლავრენტი მასწავლებელზე საუბარი არასოდეს მომწყინდება, _ გვეუბნება გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ბაშში რამაზ კაშია და ამ ბუმბერაზ პიროვნებას ასე ახასიათებს: "მასზე არც საქებარი სიტყვები დამეშურება. მქონდა ბედნიერება 6 თვის განმავლობაში ვყოფილიყავი მისი მოსწავლე. ის საუბრობდა მარტივი, გასაგები ენით, ასე გვიხსნიდა ამ ურთულეს საგანს. სოფელში მსმენია, რომ ბატონ ლავრენტის ულარიბესი ოჯახის შვილს 12 წლამდე სკოლაში არ უვლია, უმუშავნია მეჯოგედ, თავი რომ შეენახა. მისი ტალანტი მაინც არ დაიკარგა, ნიჭმა გზა გაიკვლია და უმაღლესი დონის სპეციალისტად ჩამოყალიბდა. არაერთი მოსწავლის დამცველი და გზის გამკვლევი იყო, ბევრ მეცნიერთან მოსვლია კამათი ამა თუ იმ მაგალითის პირობის სისწორეზე, ის ყოველთვის ამტკიცებდა თავის სიმართლეს და ამ კამათის შემდეგ არაერთ ცნობილ მათემატიკოსს დაუმეგობრდა, ეს ურთიერთობები წლობით გრძელდებოდა. იყო უკონფლიქტო და უნიკალური პიროვნება. მახსოვს, 90—იან წლებში სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდში, ქვეყანას რომ უჭირდა, სოფლის მთავარ გასართობად ე. წ. შალვას სადალაქო იქცა, სადაც ლამის ტურნირები იმართებოდა ნარდში, ჭადრაკში, დომინოში, იქ იყო ჩვენი მხცოვანი პედაგოგიც".

მის ნამოწაფართა რიგებშია შსს სამტრედიის ვეტერანების კავშირის თავმჯდომარე ავთანდილ კაშიაც. ის ასე იგონებს პედაგოგს: "ლავრენტი თვალავაძე უანგაროდ ამზადებდა ბავშვებს მათემატიკაში, მისაღებ გამოცდებზე თავად მიჰყვებოდა და გულშემატკივრობდა მოსწავლეებს. ცნობილი ფაქტია, ერთ-ერთი ხის ძირას ელოდა მათ, მოგვიანებით ამ ხეს ლავრენტი თვალავაძის ხეს ეძახდნენ ხუმრობით. საინტერესო იცით რა არის? ერთ-ერთი აბიტურიენტი, მისი მოსწავლე, გამოცდიდან გამოსული ეუბნება: "ლავრენტი მასწავლებელო, ჩავიჭერი, ვერ ამოვხსენიო. აჩვენა მოსწავლემ მასწავლებელს ნაწერი და ... ბატონმა ლავრენტიმ ვერ ამოხსნა. თურმე პირობა იყო არასწორი, მაშინვე შევიდა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარესთან და ბავშვის უდანაშაულობა დაამტკიცა".

ლავრენტი თვალავაძემ 3 შესანიშნავი შვილი აღზარდა: ლინეტა, იზო და მაქსიმე. მაქსიმე მამის კვალს გაჰყვა, ის მათემატიკის პედაგოგია. ქალბატონი ლინეტა ჩვენი გაზეთის მეგობარი და გულშემატკივარია.

ლავრენტი თვალავაძის აღზრდილები არიან ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი გიორგი ხაზარაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ ბაშელეიშვილი და მრავალი სხვა ღირსეული პიროვნება.

სწამდათ

სტალინის...

სჯეროდათ გამარჯვების...

გაიმარჯვეს კიდეც...

მხოლოდ საქართველოს 300 000 სიცოცხლედ დაუჯდა ეს გამარჯვება. საერთდ კი მილიონობით ადამიანი შეიწირა კაცობრიობის ისტორიაში მანამ არნახული სისასტიკის მეორე მსოფლიო ომმა.

სამტრედიამაც გაიღო წვლილი. 5400-ზე მეტი სამტრედიელიდან, ომში რომ გაიწვიეს, ან მოხალისედ წავიდნენ, ნახევარი მშობლიურ კერას ვერ დაუბრუნდა.

ენთუზიაზმით, თუმცა საოცარი ერთგულებით ემსახურება ომისა და შეარაღებული ძალების ვეტერანებს 90 გადაცილებული, მაგრამ ახალგაზრდული შემართების კაცი, ბატონი რევაზ კანდელაკი.

თავად ომგადახდილმა ჩინებულად იცის ის წვლილი, სტალინმა რომ შეიტანა ომის ძლევამოსილად დაგვირგვინებაში.

მაქსიმალისტები ვართ ქართველები.

სტალინის ძეგლი ქალაქიდან ქალაქში დაგვაქვს, ადგილი ვერ მოვუძებნეთ, ჯეროვნად ვერ შევაფასეთ მისი პიროვნება, თუმცა, ეს სხვა წერილის თემაა.

აშკარად დემოკრატიის შედეგია, რომ ქვეყანაში მაინც იბეჭდება წიგნები სტალინზე. არც იმას უშლის ვინმეს ვინმე, პატივი მიაგოს სტალინის ხსოვნას, გარდა ორი-სამი ტვინგახურებულისა.

ამ დღეებში ბატონმა რევაზმა გვთხოვა, სამუშაო ოთახში ვწვეოდით.

ვეტერანთა კავშირში სტუმრად არ ვითვლები და მეც უმალ ჩავედი.

სახელდახელოდ გაშლილ მაგიდას ხუთიოდე კაცი უსხდა. ღრეობა რა მოსატანია და სტალინის სადიდებელი შესვიო, ჭიქა მომაწოდა ბატონმა რეზომ. როგორც გაირკვა, დიდ ჯიხაიშელ ავთანდილ უგულავას ვეტერანთა კავშირისათვის სტალინის ვეებერთელა ფოტო უჩუქებია.

მერე ბატონ გიგანტი ბიბილეიშვილს საკუთარი სახსრებით ფოტოსთვის ჩარჩო გაუკეთებია, ბატონი ბაჩუკი ფახურიძეც მხარში ამოდგომიათ და ... ამ ფაქტს მიუძღვნეს სახელდახელო სუფრაც.

ერთი სიტყვით, ომგადახდილმა თუ ომში მშობლებ-წინაპრებდაკარგულებმა პატივი კიდევ ერთხელ მიაგეს სტალინს, მერე კი სიკეთე უსურვეს და უკეთესი ხვალის იმედით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

სწამდათ სტალინის!

სჯეროდათ გამარჯვების!

სწამთ სტალინის!

ლევან გაბეჩავა

8 ნიშანი იმისა, რომ პურის ჭამა უნდა აკრძალოთ!

"გლუტეინი" _ თანამედროვე მოდური სიტყვაა, რომლისგანაც ათეულობით ადამიანი იტანჯება. ეს არის კვებითი ალერგია პურსა და თეთრი ფქვილის ნაწარმზე. ადამიანი იტანჯება მუცლის ტკივილით, შეიძლება გულისრევა ჰქონდეს ან კუჭის აშლილობა. მართალია, ეს უკვე უკიდურესი ფორმაა, მაგრამ უმჯობესია, მის შესახებ ინფორმირებული იყოთ. გაეცანით 8 მიზეზს, იქნებ თქვენც გაქვთ გლუტეინის აუტანლობა.

ტკივილი მუცლის არეში

ყველა ექიმი ამბობს: "დააკვირდით მუცელს". თუ სადილზე ბევრი პური შეჭამეთ, შედეგად კი მუცლის შებერილობა გაქვთ, დიარეა ან შეკრულობა, ე. ი. გლუტეინმა ნაწლავების მიკროფლორა დააზიანა. ამასთანავე, ორგანიზმი ვერ ღებულობს საჭირო მინერალებს და საკვებ ნივთიერებებს.

თავბრუხვევა

გლუტეინის აუტანლობის დროს ადამიანს თითქოს ტვინი ებინდება. ეს არაჯანსაღი მდგომარეობაა. სცადეთ და ცოტა ხნით უარი თქვით ფქვილოვან ნაწარმზე. მილიონ ადამიანს მდგომარეობა უუმჯობესდება, როცა პურის ჭამას თავს ანებებს.

განწყობის ცვალებადობა

კარგად დაფიქრდით, თუ თქვენი ნაწლავები უკმაყოფილოა მიღებული საკვებით, ტვინიც უკმაყოფილო იქნება. ადამიანები, რომლებიც ცომეულის აუტანლობით იტანჯებიან, ხშირად არიან გაღიზიანებულები.

ქრონიკული თავის ტკივილი

თავის ტკივილი ყველაზე გავრცელებული ჩივილია, მაგრამ გლუტეინის აუტანლობის დროს მიგრენი ადამიანის მუდმივი თანამდევია. ხშირად ადამიანს თავის ტკივილი ჭამიდან 30-60 წუთის შემდეგ ეწყება. ამასთანავე, ადამიანს აღენიშნება მხედველობის გაუარესება, თვალის ტკივილი.

კანის ქავილი

თუ ცომეულის აუტანლობა გაწუხებთ, კანზე ანთებითი პროცესი მიმდინარეობს. ხშირად ადამიანს ემართება ეგზემა ან ფსორიაზი. თუ უძილო ღამეებს კანის ქავილში ატარებთ, უარი თქვით ფქვილოვან ნაწარმზე.

ფიბრომიალგია

ეს არის ძლიერი დაავადება, რომლის დროსაც ადამიანს აღენიშნება ძლიერი ტკივილები კუნთებსა და მყესებში. ფიბრომიალგიით პლანეტის 4 პროცენტი იტანჯება. თუ ცომეულზე უარს იტყვით, ტკივილი დაგიამდებათ. რევმატოლოგიის დარგის ექსპერტი ალექს შიხმანი პაციენტებს პურის ჭამასაც უკრძალავს.

ქრონიკული გადაღლილობა

თუ კუჭ-ნაწლავის სისტემა მოუწესრიგებელი გაქვთ, თავი მუდმივად გადაღლილი, გაღიზიანებული და დაბინდული გექნებათ. ამასთანავე, კანონიერ 8-9 საათიან ძილსაც ვეღარ შესძლებთ.

ლაქტოზის გადაუტანლობა

რძისა და ფქვილოვანი ნაწარმის აუტანლობა ერთმანეთს ჰგავს. შეიძლება მათ ერთმანეთი უფრო გააძლიერონ. თუ თქვენ ლაქტოზის აუტანლობა გაქვთ, შეიძლება გლუტეინის აუტანლობაც დაგეწყოთ. საქმე იმაშია, რომ რძის და ფქვილის პროდუქტები შეიცავს სპეციფიკურ შაქარს, რომელიც ართულებს საკვების მონელებას. თუ რძის ნაწარმის შემდეგ მჟავიანობის რეფლუქსი გეწყებათ, პურის ჭამას თავი უნდა დაანებოთ.

მკურნალობის ყველაზე გამოგნებული და შოკისმომგვრელი მეთოდები ნახსელი ისტორიიდან, რომლებიც შეგაშფოთებთ

კაცობრიობის ისტორია სავსეა და მოიცავს რიგ განვითარებებს. ის, რომ ჯანმრთელობის ფასი არაფერია, ტყუილი გამონათქვამი არ არის, დამეთანხმებით. ძალიან კარგად ხვდებით, რომ ფულით იყიდით ბევრ რამეს, თუმცა გარკვეულწილად ჯანმრთელობას ვერა. ცხადია, რომ დაავადებათა უმეტესი ნაწილი შეძენილი, თანდაყოლილი და გენეტიკური ფაქტორია. (გენეტიკა ძვ. ბერძნ. _ ვინმესგან წარმოშობა, წარმოქმნა) მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის მემკვიდრეობითობას, ანუ წინაპრების უნარს გადასცეს ნიშან-თვისებები და განვითარების თავისებურებები მომდევნო თაობას. ამ სამეცნიერო დისციპლინის სახელწოდება ხმარებაში შემოიტანა ინგლისელმა ნატურალისტმა უილიამ ბეტსონმა 1905 წელს. ბიოლოგიურ სხვა დარგებთან შედარებით გენეტიკა ახლად ჩამოყალიბებული მეცნიერებაა).

თუმცა ინდივიდის ყველა ნიშან-თვისება როდია მემკვიდრეობით მიღებული. ზოგიერთ მათგანს გარემო და აღზრდა განაპირობებს. მაგალითად, ადამიანი კითხვის უნარს სწავლით იძენს. არის ისეთი თვისებებიც, რომლებიც მემკვიდრეობითობით გარემოს ურთიერთქმედების შედეგია. ადამიანის სხეულის ფორმა ნაწილობრივ მემკვიდრეობით მიღებული თვისებაა და მასზე ისიც ახდენს გავლენას, თუ რამდენ საკვებს იღებს ადამიანი. წარსულიდან მოყოლებული დღემდე კი ჩვენი სამედიცინო ისტორია რიგ დაავადებებსა და მკურნალობის მეთოდებს ინახავს, მაშასადამე მედიცინის ისტორია სავსეა უცნაური მკურნალობითა და სამედიცინო პროცედურებით, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტკივილმა და ტანჯვამ. მიუხედავად ექიმების კეთილშობილური და გულწრფელი სურვილისა ჰუმანური გზით განეკურნათ ესა თუ ის პაციენტი, სამედიცინო პროცედურები საშიში აღმოჩნდა, ვიდრე დაავადება.

ოყნით მკურნალობა

ერთი შეხედვით არაფერია უცნაური იმაში, რომ ოყნით ვიმკურნალოთ. დღევანდელ პრაქტიკაში ოყნა ხომ შეკრულობის დროს უებარი საშუალებაა, თუმცა თუ გამცნობთ, რომ 17, 18, 19 საუკუნეებში თბილი წყლის მარილთან, საჭმელ სოდასთან, საპონთან, ყავასთან, ქატოსთან, გვირილასთან და თაფლთან შერევით კომბინაციაში იყენებდნენ ოყნას მაღალი კლასის წარმომადგენლები, სრულიად გაურკვეველი მიზეზების გამო. თვით ლუი XIV იყო დიდი გულშემატკივარი ასეთი სახით ოყნის გამოყენების.

ბუასილის მკურნალობა ცხელი რკინით

მადლობა თანამედროვე მედიცინას იმისათვის, რომ არსებობს მრავალი გზა გაუმკლავდე ბუასილის ყველაზე მძიმე ფორმასაც კი უმტკივნეულოდ. ჩვენს წინაპრებს კი არ ჰქონდათ იმის საშუალება, გამკლავებოდნენ ტკივილის რელიეფს მაღალტექნოლოგიური ლაზერებით, ამიტომ მაშინდელმა ექიმებმა იპოვეს თავიანთი გზა ამ გაგანიერებული ვენების მოსპობა გავარვარებული, ცხელი რკინის მეშვეობით, სრულიად უანესთეზიოდ.

ობიანი პურით მკურნალობა

ძველ ჩინეთსა და საბერძნეთში ხორბლის დაობებული პური გამოიყენებოდა სისხლიან ჭრილობებზე დასადებად, როგორც ერთ-ერთი უებარი ანტისეპტიკი ინფექციების თავიდან ასაცილებლად. ხოლო ეგვიპტეში კი მას თავზე იდებდნენ ტკივილების დროს ვინაიდან, ეგვიპტელების თქმით, თავის ტკივილი გამოწვეული იყო სულებისგან და ღმერთებისგან პურის მიბჯენისას კი სულები და ღმერთები ტოვებდნენ მათ და თავისუფლდებოდნენ ტკივილებისაგან.

ლოკოკინას სიროფი ყელის და ყურის ტკივილის დროს

დღეს რამდენაირ სიროფს აღარ შევხვდებით საფთიაქო ქსელებში ყელის ტკივილისათვის საუკუნეების წინ კი უებარ საშუალებად მხოლოდ ლოკოკინის წვენს _ სიროფს მიიჩნევდნენ ყურის ტკივილის დროს კი ექიმი მოუწოდებდა პაციენტს ყურში ჩაესვა ლოკოკინა, რომ განუმუხტავდა ანთებას და ტკივილიც გაქრებოდა.

მუმიის ფხვნილი როგორც ასპირინი არაბულ სამყაროში

მე-12 საუკუნეში არაბებმა დაიპყრეს ჩრდილოეთ აფრიკის დიდი ნაწილი, მათ შორის ეგვიპტე სწორედ მაშინ იწყეს მუმიების ფხვნილის სამედიცინო მიზნებისთვის გამოყენებას. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ეს ჯადოსნური ფხვნილი დოზირების დაცით ეფექტურად კურნავს როგორც კუჭის წყლულს, ჩვეულებრივ თავის, ასევე, კუნთებისა და უფრო ძლიერ ტკივილებს.

ნიანგის გამხმარი ფეკალი, როგორც კონტრაცეფცია

კიდევ ერთი შოკისმომგვრელი სამედიცინო "გარღვევა" და ისევ ძველ ეგვიპტეში. ნიანგის ფეკალები იყიდებოდა და ღირდა საკმაოდ ძვირი. მამაკაცები მათ თავიანთი ქალებისათვის ყიდულობდნენ, რათა მოეთავსებინათ საშოში როგორც კონტრაცეფციის ეფექტური საშუალება თუმცა ამით თავი ჩაიგდეს საფრთხეში და გადაეყარნენ სერიოზულ ინფექციებს, ბევრმა მათგანმა ფატალურად დაასრულა სიცოცხლე ამის გამო.

იძულებით სისხლდენა დაავადებისაგან განთავისუფლების მიზნით

ძველ საბერძნეთში, ეგვიპტესა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ვენიდან სისხლდენა ითვლებოდა სხვადასხვა დაავადებისაგან თავის დაღწევის უებარ საშუალებად. თუმცადა, მათ შემთხვევაში მეთოდი მხოლოდ მაღალი წნევის დაწევას ეხმარებოდა.

პარაფინის ცვილი დაბერების წინააღმდეგ

პარაფინის ცვილით გაახალგაზრდავება 19-ე საუკუნეში ბოტოქსის ერთ-ერთი სახე იყო, იმიტომაც შეყავდათ კანქვეშ ნაოჭების დასაფარად, ასევე ასაკში მკერდის გასამკვრივებლად და ასაწევად, თუმცა ამას მოჰყვებოდა ძალიან მტკივნეული შედეგები და თანდათან შეწყდა მსგავსი პროცედურები.

ვერცხლისწყალი, როგორც უნივერსალი მედიცინაში

გჯერათ თუ არა, ვერცხლისწყალი 19-ე საუკუნის მედიცინაში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სამკურნალო საშულება იყო სიფილისის, ტუბერკულოზის, შაკიკის და დეპრესიის დროს. Lincoln-იც ხშირად იღებდა დეპრესიის დროს ვერცხლისწყლის შემცველ ლურჯ აბებს, 1861 წელს შეწყვიტა, ვინაიდან მიხვდა, რომ მათ ის უკონტროლო გამოხტომებამდე მიჰყავდა. წელს აშშ-ს პრეზიდენტის მუზეუმში სწორედ ეს აბები იყო გამოფენილი და იკვლევდნენ. სამეფო ქიმიურ შემადგენლობას. აღმოჩნდა, რომ აბები იწვევდა უძილობას, ხასიათის ცვლილებასა და აყენებდა ზიანს შემეცნებით ფუნქციას.

მკვდარი თაგვის "პასტა" კბილის ტკივილის დროს

ძველმა ეგვიპტელებმა დიდი წვლილი შეიტანეს სამედიცინო ცივილიზაციის განვითარებაში, თუმცა ეს ის შემთხვევა არაა, როდესაც მათმა პროცედურამ გაამართლა. კერძოდ, კბილის ტკივილის დროს კლავდნენ თაგვს და სხვა ინგრედიენტებთან შერევით ამზადებდნენ "პასტა" ტკივილის გასაყუჩებლად, თუმცა მრავალი პაციენტი გარდაიცვალა მძიმე ინფექციებისაგან.

"მგრძნობიარე პუდრი " _ "The powder of sympathy"

16-17 საუკუნის ევროპაში ფარიკაობა ყველაზე გავრცელებული მამრობითი გასართობი იყო. გამოწვეული ჭრილობების შედეგად, ხშირად ჰქონდა ადგილი ინფექციებს და ბევრი იღუპებოდა. მადლობა Sir Kenelm Digby-ს მალამოს, ეს პრობლემაც მოგვარდა. მალამოს ინგრედიენტებს წარმოადგენდა ჭიები, ჟანგი, მუმიის ფხვნილი და ღორის ტვინი. ყველაზე სასაცილო კი ის იყო რომ მოიძებნებოდნენ სულელები, ვინც ამ მალამოს ყიდულობდნენ.

ნახევარი ენის რეზექცია გლუვებისთვის

მკურნალობის ეს სასტიკი მეთოდი დღესაც გამოიყენება თანამედროვე მედიცინაში. თუმცა უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ყელის კიბოს. ეხლა თუ ეს ოპერაცია ხორციელდება ანესთეზიით და გამოცდილი ექიმების მიერ უმტკივნეულოდ, უწინ 18-საუკუნეში ღმერთმა უწყის, როგორ აკეთებდნენ ამას. ფაქტი ერთია, რომ ენაბლუების განკურნებას ამ გზით ცდილობდნენ, ახდენდნენ ნახევარი ენის რეზექციას. თუ პაციენტს გაუმართლებდა და სისხლდენისა და საშინელი ტკივილისგან არ მოკვდებოდა, მაინც ვერ შეძლებდა ენის ვერ მიტანას, რადგან საუბარი საერთოდ აღარ შეეძლო.

თავის ქალის ტრეპანაცია (გაკვეთა)

თავის ქალის ტრეპანაცია _ გაბურღვა პაციენტისათვის ყოველგვარი ანესთეზიის გარეშე ჩვეულებრივი მოვლენა იყო მედიცინის ისტორიაში შაკიკის, კრუნჩხვისა და ფსიქიკური აშლილობის სამკურნალოდ. ეს ერთ-ერთ ქირურგიულ პროცედურად ითვლებოდა მეზოლითის პერიოდში. რაოდენ გასაოცრად და ბარბაროსულად არ უნდა ჟღერდეს, ბევრი პაციენტი გადარჩა. 21-ე საუკუნეშიც არსებობს ტრეპანაციის მეთოდი, რომელსაც ძირითადად ნეიროქირურგიულ განყოფილებაში ტვინის ტრავმული დაზიანებების დროს იყენებენ.

უჩვეულო ფაქტები პლაცებოს ეფექტის შესახებ

ადამიანის ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული ფენომენებიდან პლაცებოს ეფექტი ერთ-ერთი ყველაზე უცნაური და ნაკლებად ამოხსნილი მოვლენაა. მასზე ყველას გვსმენია, მაგალითად ის, რომ შეგვიძლია ავადმყოფობებისაგან განვიკურნოთ მხოლოდ იმიტომ, რომ გვჯერა, ასე მოხდება. სხვა სიტყვებით, ვატყუებთ ორგანიზმს და ვაჯანსაღებთ მას, რაც ტვინის ძლევამოსილებას ამტკიცებს. თუმცა ამის გარდა არსებობს პლაცებოს ეფექტის გარკვეული ასპექტები, რომელთა ახსნა ექიმებისა და მეცნიერებისთვისაც კი რთულია.

ანტიდეპრესანტები

დეპრესია რომ არც ისე სასიამოვნო მოვლენაა და მას პირდაპირი კავშირი აქვს ტვინის ქიმიასთან, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მათი მკურნალობის მეთოდი ხშირად ანტიდეპრესანტებია, რადგან აქვს გარკვეული ეფექტი და უკუაგდებს დეპრესიას მომხმარებელთა უმეტესობაში. თუმცა კვლევები აჩვენებს, რომ პლაცებოსაც იგივე ეფექტი აქვს, თანაც გვერდითი მოვლენების გარეშე. ეს სიახლე ერთი მხრივ, არც ისე სასიამოვნოა ფარმაცევტული კომპანიებისათვის, რომლებიც ანტიდეპრესანტების პოპულარობის დაკარგვის შემთხვევაში მილიარდობით დოლარს დაემშვიდობებიან. მეორე მხრივ, ეს აღმოჩენა იმედისმომცემია მათთვის, ვისაც გონებრივი ავადმყოფობა აწუხებს _ ამ დაავადებების დამარცხება ქიმიტაკების გარეშე იქნება შესაძლებელი.

პლაცებოს ეფექტმა ზეიმლება დაგათიროთ

გავრცელებულია მოსაზრება, რომ ქალს გაცილებით ნაკლები ალკოჰოლი სჭირდება დასათრობად, ვიდრე მამაკაცს, რადგან მათი ორგანიზმი ნაკლებად ამტანია. თუმცა შეიძლება საქმე სხვა რამეში იყოს. როგორც ჩანს, ჩვენ მარტივად შეგვიძლია თავი დავირწმუნოთ, რომ დავთვერით. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მათ, ვისაც სჯეროდა, რომ არაყს სვამდა (სასმელი კი რეალურად ლიმონიანი ტონიკი იყო), ნელ-ნელა უქვეითდებოდა მსჯელობის უნარი, აჩვენეს ცუდი შედეგები მარტივ ტესტებში და დაუქვეითდათ IQ.

საცხოვრებელი ადგილი პლაცებოზე მოქმედებს

ამერიკელები უფრო ავლენენ იპოქონდრიის (ავადმყოფური შიში, გამოწვეული ჯანმრთელობაში დაეჭვებით) ნიშნებს, ვიდრე სხვა რომელიმე ერი. თუმცა ეს გასაკვირი არცაა _ ამ ქვეყანაში ხომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით სხვადასხვა წამლის რეკლამებს და სატელევიზიო სივრცეშიც არც ისე ცოტა ადგილი უჭირავთ. ამის გამო ამერიკელების გონება უფრო დიდ ეფექტს ანიჭებს ისეთ წამლებს, რომლებიც ნემსით ხვდება ორგანიზმში, ევროპელები კი პირიქით _ პლაცებო აბებზე უკეთ რეაგირებენ, ვიდრე პლაცებო ინექციაზე. როგორც ჩანს, კულტურული ფაქტორები სერიოზულ გავლენას ახდენს პლაცებოს ეფექტზე. საცდელ ექსპერიმენტში წყლულის მოსარჩენად გამოყენებული წამლები უკეთ მოქმედებდა გერმანიაში, ვიდრე ბრაზილიაში. მაგრამ რაც შეეხება ჰიპერტონიის (მაღალი არტერიული წნევა) წამლებს, ყველაზე ნაკლები გავლენა გერმანელებზე ჰქონდა. კულტურული შტრიხები აყალიბებენ ჩვენს იმედებს, შიშებსა და მოლოდინებს, რაც შესაბამის ზღვარს უწესებს პლაცებოს ეფექტს.

პლაცებო მოქმედებს მაშინაც, როცა იცი სიმართლე

პლაცებოს მთავარი საიდუმლო თითქმის იმაშია, რომ პაციენტმა არ იცის სიმართლე, იღებს უმოქმედო აბს და ჰგონია, რომ მორჩება, რაც ხშირად მართლდება კიდეც. თუმცა კვლევებმა აჩვენა, რომ პლაცებოს ეფექტი აგრძელებს მოქმედებას მას შემდეგაც, როცა პაციენტი აღმოაჩენს, რომ მას სიმართლეს უმალავდნენ, რაც კიდევ უფრო ხლართავს სიტუაციას. წესით, როცა ადამიანი იგებს, რომ ის პლაცებოს იღებს, ტვინმა უნდა შეწყვიტოს ტყუილზე დაფუძნებული მოქმედება ან შეასუსტოს მაინც. მაგრამ შედეგი საპირისპიროა _ პოზიტიური ეფექტი გრძელდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლო თუ შორეულ მომავალში წამლის ნაცვლად ექიმები პაციენტებს დაურიგებენ შაქრის აბებს და ეტყვიან კიდეც ამის შესახებ, პაციენტები მიიღებენ უმოქმედო აბებს და გამოჯანმრთელდებიან.

პლაცებოს ეფექტი აქვს ინფექციებსაც

ექიმების ჯგუფი დაინტერესდა, რა შედეგს გამოიღებდა ასთმით დაავადებული ადამიანების პარაზიტი ჭიებით დასნეულება. პაციენტები მათ ორ ჯგუფად გაყვეს, ერთი ჯგუფის წევრებს რეალურად ასნეულებდნენ პარაზიტი ჭიებით, მეორე ჯგუფში კი უბრალოდ აფიქრებინებდნენ პაციენტებს, რომ ისინიც დაინფიცირდნენ. პირველ ჯგუფში შემავალ ადამიანებს რეალური გამოკეთება აღენიშნებოდათ, თუმცა იგივე ეფექტი იყო მეორე ჯგუფშიც. ცხადი გახდა, რომ მთავარი მოქმედი ფაქტორი ორივეგან პლაცებოს ეფექტი ყოფილა. გასაკვირია და კვლევის დასრულების შემდეგ მონაწილეთა ნაწილმა პარაზიტი ჭიების ორგანიზმში დატოვება არჩია, რადგან სურდათ, დადებითი შედეგები მომავალშიც გაგრძელებულიყო.

ფერადი პლაცებო უფრო ეფექტურია

ადამიანებს გვიყვარს ფორმები და ფერები. ქვეცნობიერ დონეზე ეს ორი რამ დიდ გავლენას ახდენს ჩვენზე, ამავე დროს ჩვენი აღქმა, თუ როგორი იქნება წამლის ეფექტურობა, საზღვრავს საბოლოო შედეგსაც. აღქმა კი დიდწილად დაფუძნებულია წამლის ზომაზე, ფორმასა და ფერზე. მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ დეპრესიის მკურნალობისას ყვითელი ფერის აბები ყველაზე მეტად ეფექტურია, ხოლო წითელი აბები ადამიანს ფხიზლად ამყოფებს და ამხნევებს. მწვანე აბები მოუსვენრობას აცხრობს, თეთრი კი კუჭთან დაკავშირებულ დაავადებებს შველის, მაგალითად, წყლულს. რაც უფრო მეტ პლაცებო აბს იღებს ადამიანი, მით უფრო ეფექტურია შედეგი _ ვინც დღეში ოთხჯერ იღებს, უკეთესი შედეგი აქვს დღეში ორჯერ მიმღებთან შედარებით. ასევე ბრენდული სახელის მქონე აბებს უკეთესი შედეგი აქვს იმ წამლებთან შედარებით, რომლებსაც წარწერა საერთოდ არ აქვთ.

პლაცებო ოპერაციებიც საკმაოდ ეფექტურია

წარმოიდგინეთ, რომ დაშავდით სერიოზულად და ერთადერთი გამოსავალი ქირურგიული ჩარევაა. თქვენ გადაიტანეთ შესაბამისი პროცედურები, რომლის შედეგადაც გამოკეთდით და ტკივილიც გაქრა. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ერთი თვის შემდეგ ექიმი გიმხელთ სიმართლეს _ ოპერაციას რეალურად არაფერი შეუცვლია და მდგომარეობა იგივე დარჩა, მხოლოდ ნატკენი ადგილი გაჭრეს, რომ გეფიქრათ, თითქოს ყველაფერმა კარგად ჩაიარა. სწორედ ასეთი რამ მოხდა სამედიცინო ექსპერიმენტებისას, რამაც აჩვენა, რომ ოსტეოართრიტისას ჩატარებული ცრუ ოპერაციები შეიძლება ნამდვილად ეფექტური იყოს. ყველაზე კარგი სიახლე ალბათ ისაა, რომ პლაცებო ოპერაციები გაცილებით იაფია, ვიდრე ნამდვილი.

ცრემლს დადევნებული ცრემლი

ვანო და თემურ ვაშაკიძეების ხსოვნას

მეგობრები არ ვყოფილვართ, პირველად ორი-სამი წლის წინ მაშინ გაგიცანი, როცა ჩემმა კოლეგამ, ნათია ნაცვლიშვილმა რედაქციაში მოგიწვია ჩასაწერად, როგორც ინტელექტუალთა კლუბის წევრი.

საუბარში გაირკვა, რომ შენი ღირსეული ბაბუა წლების მანძილზე იმ სკოლას თავკაცობდა, სადაც თავად ვმუშაობდი პედაგოგად. კარგ კაცად, ნიჭიერ ორგანიზატორად ახასიათებდნენ უფროსი თაობის პედაგოგები ივანე ვაშაკიძეს. ერთი სიტყვით, საერთო ნაცნობებიც აღმოგვაჩნდა და...

მორიდებულ სალამს შემაგებებდი შეხვედრისას.

ბოლოს ქუთაისში შემხვდი, თვეების წინ. სტუდენტობა მოგილოცე, ეგ იყო და ეგ!

ყოველი ჩამქრალი სიცოცხლე მძიმეა, დასანანი და გულსატკენი, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ათეცდება ეს გრძნობა მაშინ, როცა სამზეოდან ახალგაზრდა, ნიჭიერი კაცი ტრაგიკულად მიდის.

ცეცხლს ნავთს არ დავასხამ.

სიტყვები უძლურია საყოველთაო მწუხარების გამოსახატავად.

ვერ შევძელი პატივი მიმეგო შენთვის და ჩემთვის უცნობი შენი ძამიკოსათვის ნაადრევად რომ გადასახლდით სულეთში.

ამ ციცქნა წერილით უამრავ ცრემლს ჩემი ცრემლი დავადევნე.

ნათელში იყავით, ბიჭებო!

ლევან გაბეჩავა

ხსოვნა

ოთარ თადუმაძე

მასთან პირველი ინტერვიუ ორი წლის წინ ჩავწერე. საოცრად გაიხარა, ესიამოვნა ყურადღება.

სოლიდური ასაკის მიუხედავად მხნედ გამოიყურებოდა.

სოფელ ხუნჯულაურში 1935 წელს დაიბადა ბატონი ოთარ სევერიანეს ძე თადუმაძე. სამტრედიის №1 (ვაჟთა) სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო-პედაგოგიური ფაკულტეტი დაამთავრა.

თითქმის ნახევარი საუკუნე იმოღვაწა მან თბილისის საავიაციო ქარხანაში, სადაც სხვადასხვა პასუხსაგები თანამდებობები ეკავა.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი 30-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი გახლდათ.

ბატონი ოთარის რაციონალიზატორული წინადადებები, გამოგონებები ხელს უწყობდა საავიაციო მრეწველობის სრულყოფისა და განვითარების საქმეს.

მის მიერ ავტორთა ჯგუფთან ერთად მომზადებულ ნაშრომს, 1975 წელს, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

მაღალი ერუდიცია, სისადავე, პუნქტუალობა და ობიექტურობა, საოცარი შრომისმოყვარეობა იყო ბატონი ოთარის პიროვნულ ღირსებათაგან თვალშისაცემი.

ბოლო ხანს ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი გახლდათ და მთელ ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად უნაწილებდა ქართული ინჟინერიის წარმომადგენლებს. აქტიურად იყო ჩართული ვეტერანთა ორგანიზაციის საქმიანობაშიც.

დასანანია, რომ იგი რამდენიმე თვის წინ აღესრულა, ვალმოხდილი ოჯახის, საზოგადოების, სამშობლოს წინაშე.

15 აგვისტოს 81 წლისა გახდებოდა.

ნათელში იყოს, არასოდეს დაივიწყებენ ღირსეულ კაცს მშობლიურ რაიონში, სოფელში...

ლევან გაბეჩავა

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ნუგზარ ჯამბურიას სიძის

მერაბ კვანტალიანის

გარდაცვალების გამო.

ირა, ჯონდი, ლევან გაბეჩავები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერაბ გივის ძე კვანტალიანი

და თანაუგრძნობენ კვანტალიანებისა და ჯამბურიების ოჯახებს.

ციალა კვანტალიანი, ქეთევან და რუსუდან კობახიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერაბ კვანტალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნათია ნაცვლიშვილი და კახა კიკვაძე თანაუგრძნობენ მაკა ძაგნიძესა და ომარ ჩაჩუას მამისა და სიმამრის, ბატონი

ტარიელის

გარდაცვალების გამო.

ვულოცავთ!

ჩვენს უსაყვარლეს ბებოს, მედეას, დიდი სიყვარულით, გულისხმიერებით ვულოცავთ დაბადების დღეს!

დედა ღვთისა იყოს მისი მფარველი!

ეამაყოს ჩვენით!

ბარბარე, ლუსა, მარი

ნანული რობაქიძეს!

ჩვენო საყვარელო ქალბატონო, შეუდარებელო მასწავლებელო, მუსიკის დიდო ოსტატო, ალბათ, თვლაც გაგვიჭირდება, იმდენი ლამაზი დღეები გექნება ნაჩუქარი სამტრედიელებისათვის, თქვენს ხელოვნებაზე, იუმორზე რომ ბევრი არ ვილაპარაკოთ. რამდენი ცნობადი სახის იმიტაციის ნიჭი მოგცათ უფალმა. წლების შემდეგ როცა ვიხსენებთ თქვენს სხვადასხვა იმიტაციას სამტრედიელებზე, დღესაც ღიმილს გვგვრის ყველას. ისეთი ქალბატონები, როგორიც თქვენა ხართ, არც უნდა ბერდებოდეს და არც უნდა აკლდებოდეს საქართველოს. გულით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ წელთა სიმრავლეს, ჯანმრთელობას და ულევ ღონისძიებებს თქვენს სფეროში.

გფარავდეთ უფალი!

№2 ბაბა-ბალის უახლოესი მეგობრები

ნანული რობაქიძეს!

ჩემო ლამაზო მეგობარო! კეთილი, მიმზიდველი, საოცრად დიდი იუმორის მქონე და უაღრესად ნიჭიერი, წარმატებული – ასეთი შემოიჭერი შენ ჩვენს ცნობიერებაში.

დაბადების დღეს გილოცავთ, საყვარელო ნანული, ჯანმრთელობას, შინაგან სიმშვიდეს, სიხარულსა და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ. განუზომლად დიდი მნიშვნელობისაა შენი არსებობა ყველა შენი საყვარელი მეგობრისათვის.

უახლოესი მეგობრები

*

ჭაღარა მოგეძალება,
ახალ კინოროლს არ ელი,
მჯერა, ხალხს ვემახსოვრები
“ჭაბუკი საბუდარელი”!..

ნინო ცქიტიშვილს!

დაბადების დღეს გილოცავთ ჩვენო კარგო ქალბატონო. მშვენიერ სხეულში მშვენიერი სული ბინადრობს. უფალმა დიდხანს ასე ლამაზად და უფრო ძლიერად გვიმყოფოს შენი თავი.

მეგობრები

ვულოცავთ!
ირაკლი მარგველაშვილს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ირაკლი, გულიანსა და უღალატო მეგობარს!

მრავალს დაესწარი, უფალმა დაგლოცოს, მისცეს შენს ყოველ წამოწყებას საუკეთესო დასასრული!

ჯგუფი “ლადი”

ოქროს ნიღაბი თვალების ირგვლივ კანისთვის მინიმუმ 10 წელი 5 წუთში

ეს ნიღაბი თვალების ქვეშ წრეებსა და შეშუპებას მომენტალურად ხსნის. რეცეპტი ინდოეთიდან მოდის, სადაც კურკუმას არა მხოლოდ სუნელად იყენებენ საკვებში, არამედ – სილამაზისთვისაც.

კურკუმა ათეთრებს და აახალგაზრდავებს კანს. ამასთან, ოქროს ნიღაბი შეიცავს სოდას, ერთ-ერთ აქტიურ კომპონენტს, რომელიც კანის საფარში სისხლის მიმოქცევას ასტიმულირებს და წმენდს მას.

აქტიურმა ნარევმა წასმის შემდეგ შესაძლებელია, კანის სიწითლე გამოიწვიოს, მაგრამ ნუ შეშინდებით, სიწითლე 1 საათში გაივლის, ეფექტი კი არაჩვეულებრივი იქნება.

ნიღაბი თვალის ირგვლივ კანისთვის

<u>საჭირო მასალა</u>

- 0.5 ს. კ. კურკუმა
- 1 ს. კ. სოდა
- 2 წვეთი ლიმონის წვენი

<u>გამოყენების წესი</u>

მოამზადეთ ფაფისებრი მასა ყველა ინგრედიენტისგან. თუ მგრძნობიარე კანი გაქვთ, ლიმონის წვენი ტონიკით ან წყლით ჩაანაცვლეთ.

წაისვით ოქროს ნიღაბი თვალების ირგვლივ და გაიჩერეთ 15 წუთით.

დაიბანეთ გრილი წყლით. წაისვით დამატენიანებელი კრემი.

ჩაიტარეთ პროცედურა 3 დღეში ერთხელ. გამაახალგაზრდავებელ ეფექტს მალევე შეამჩნევთ. წვრილი ნაოჭები და შავი ლაქები სრულად გაქრება, კანი გაღიავდება.

საფუვრით დამზადებული 3 სუპერნიღაბი თმის სწრაფად ზრდისთვის

თუკი გსურთ, სწრაფად გაიზარდოთ თმა, აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ნიღბიდან რომელიმე და ჩაიტარეთ პროცედურა კვირაში ერთხელ.

1. 30 გრამი საფუარი გახსენით 1 ს. კ. წყალში, დაუმატეთ 2 ს. კ. წიწაკის ნაყენი და წაისვით თმაზე. გაიჩერეთ 20 წუთი და ჩამოიბანეთ ჩვეულებრივი შამპუნით.

2. რამდენიმე ს. კ. ნებისმიერი ბალახის ნახარშში (შემთბარი) გახსენით 1 ჩ. კ. საფუარი და გააჩერეთ ნახევარი საათი. შემდეგ დაუმატეთ ერთი კვერცხის გული, 1 ს. კ. ბირკნის ზეთი და რამდენიმე წვეთი რომელიმე ეთერზეთი. ყველაფერი კარგად აურიეთ და შეიზილეთ თმის ძირებში. შეიფუთეთ და გაიჩერეთ 1 საათი. შემდეგ ჩამოიბანეთ.

ამ ნიღბის გაკეთება კვირაში 2-ჯერაც შეგიძლიათ.

3. 1 ს. კ. მშრალი საფუარი გახსენით 2 ს. კ. შემთბარ წყალში, დაუმატეთ 1 ჩ. კ. შაქარი და გააჩერეთ ერთი საათი. დაუმატეთ 1 ს. კ. თაფლი და 2 ჩ. კ. მდოგვის ფხვნილი.

ნიღაბი შეიზილეთ თმის ძირებში, გაიჩერეთ 1 საათი, შემდეგ ჩამოიბანეთ ჩვეულებრივი შამპუნით.

საკმარისია მისი გამოყენება კვირაში ერთხელ.

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამეგრელოს

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა